ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი

სამართლის სამაგისტრო პროგრამა

მეოთხე სემესტრის სტუდენტი

ნინო გვარამაძე

ნაშრომი, წარდგენილი
სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

საბანკო გარანტიისა და დოკუმენტური აკრედიტივის შედარებით სამართლებრივი ანალიზი

ხელმძღვანელი

ასოცირებული პროფესორი

თამარ ზოიძე

თბილისი, 2019

სარჩევი

ნაშრომში გამოყენებული შემოკლებანი 5

შესავალი 6

თავი I. საბანკო გარანტიის ხელშეკრულება 10

1.1. ძირითადი ნაწილი 10

1.2. ხელშეკრულების ძირითადი პირობები 12

1.3. საბანკო გარანტიის სახეები 15

1.3.1. სატენდერო გარანტია (Bid Bond or Tender Bond) 16

1.3.2. შესრულების გარანტია (Performance Bond) 18

1.3.3. საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტია (Advanced Payment Guarantee or Repayment Guarantee or Interim Payment Guarantee) 19

1.3.4. გადახდის გარანტია (Payment Guarantee) 19

1.3.5. საბაჟო გარანტია (Customs Guarantee) 20

1.3.6. ხარისხის გარანტია (Quality Guarantee, Warranty Guarantee, Maintenance Guarantee, Retention Guarantee) 20

1.3.7. კრედიტის უზრუნველყოფის გარანტია (Credit Security Guarantee) 21

1.3.8. გამოხმობადი და გამოუხმობადი საბანკო გარანტია 21

თავი II. საბანკო გარანტია, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება 22

2.1. საბანკო გარანტია, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება და მისი განსხვავება მოთხოვნის უზრუნველყოფის სხვა საშუალებებისგან 22

2.2. საბანკო გარანტიის განსხვავება თავდებობისგან 26

თავი III. საბანკო გარანტიის გაცემა და სამართლებრივი შედეგები 29

3.1. მოთხოვნის წარდგენის ფორმა და წესი 29

3.2. რეგრესი 33

3.3. თანხის ანაზღაურებაზე გარანტის უარის თქმის საფუძვლები 35

თავი IV. დოკუმენტური აკრედიტივის ხელშეკრულება 36

4.1. ძირითადი ნაწილი 36

4.2. დოკუმენტური აკრედიტივის ფუნქციები 39

4.3. დოკუმენტური აკრედიტივის ანგარიშსწორების ეტაპები 40
4.4. დოკუმენტური აკრედიტივის სახეები 43
4.4.1. გამოთხოვადი და გამოუთხოვადი აკრედიტივი (Irrevocable and Revocable Letters of Credit).....43
4.4.2. დადასტურებული და დაუდასტურებელი დოკუმენტური აკრედიტივი (Confirmed and Unconfirmed Letters of Credit).....44
4.4.3. გადახდის გადავადება (Deferred Payment Letter of Credit).....45
4.4.4. აქცეპტირება (Sight Letter of Credit).....46
4.4.5. განახლებადი და არაგანახლებადი დოკუმენტური აკრედიტივი (Revolving and Non Revolving Letters of Credit) 46
4.4.6. ტრანსფერაბელური დოკუმენტური აკრედიტივი (Transferable Letter of Credit) 46
4.4.7. აკრედიტივი წითელი პირობით (Red Clause Letter of Credit) 47
4.4.8. საკომპენსაციო დოკუმენტური აკრედიტივი (Back To Back Letters of Credit) 47
4.4.9. სარეზერვო აკრედიტივი (Standby Letter of Credit) 48
თავი V. საბანკო გარანტიისა და დოკუმენტური აკრედიტივის რეგულირება 48
5.1. უნიფიცირებული ჩვეულებანი და პრაქტიკა დოკუმენტალური აკრედიტივისთვის #500 48
5.2. უნიფიცირებული ჩვეულებანი და პრაქტიკა დოკუმენტალური აკრედიტივისთვის #600 49
5.3. განსხვავება UCP 500-სა და UCP 600-ს შორის.....50
5.4. მოთხოვნამდე გარანტიათა უნიფიცირებული წესები N458 და N758 51
თავი VI. საბანკო გარანტიისა და დოკუმენტური აკრედიტივის შედარება 53
6.1. მათ შორის მსგავსება და განსხვავება.....53
6.2. რისკები 57
6.2.1. საბანკო გარანტიის დადებითი მხარეები.....57
6.2.2. საბანკო გარანტიის უარყოფითი მხარეები 58
6.3. დოკუმენტური აკრედიტივის დადებითი და უარყოფითი მხარეები 59

6.3.1. საზოგადო რისკები 60
6.3.2. თაღლითობის რისკი 60
6.3.3. საკანონმდებლო და ფორსმაჟორული რისკები 61
6.4. დოკუმენტური აკრედიტივით სარგებლობის უპირატესობები 61
დასკვნა 62
ბიბლიოგრაფია 67
სამეცნიერო ლიტერატურა 67
პუბლიკაციები 69
სასამართლო აქტები 69
ნორმატიული წყაროები 70
ინტერნეტ რესურსი 71

ნაშრომში გამოყენებული შემოკლებანი

ქართულ ენაზე:

გამომც.	გამომცემლობა
იგ.	იგულისხმება
იხ.	იხილეთ
მაგ.	მაგალითად
სსკ	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
სსსკ	საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

უცხოურ ენაზე:

Ed.	Edition
ICC	International Chamber of Commerce
Pub.	Publication
UCP	Uniform Customs and Practice for Documentary Credits
URCG	Uniform Rules for Contract Guarantees
URDG	Uniform Rules for Demand Guarantees

შესავალი

საბანკო გარანტია და დოკუმენტური აკრედიტივი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს საბანკო პროდუქტებს, რომელთა გამოყენების გარეშე ფაქტობრივად წარმოუდგენელია თანამედროვე ბიზნეს ურთიერთობების არსებობა/განვითარება. შესაბამისად, საკითხი აქტუალურია არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ განვითარებული მსოფიოსთვის. სწორედ ამიტომ კანონის მიერ სათანადო რეგულირებას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. მოწესრიგენული კანონმდებლობა, ხელს შეუწყობს და განამტკიცებს საქართველოს ჩართულობას მსოფლიო სავაჭრო ურთიერთობებში, რაც თავის მხრივ პირდაპირ პროპორციულია ქვეყნის ეკონომიკის განვითარების.

სახელშეკრულებო ურთიერთობები მხარეთა ნდობაზე არის აგებული. კრედიტორი, რომელიც პირველი ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, ყოველთვის ვერ განჭვრეტს იმას, თუ როგორ წარიმართება მომავალში ვალდებულების შესრულების პროცესი. კრედიტორი იმედოვნებს, რომ მოვალე ვალდებულებას შეასრულებს, თუმცა შესაძლებელია არსებული ნდობა გაუცრუვდეს. მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის რისკი ყოველთვის არსებობს. შესაბამისად, ნდობა ყოველთვის არასაკმარისია რისკის პრევენციისა და მისი რეალიზაციის შემთხვევაში, კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების უზრუნველყოფისათვის. ამ რისკების შემცირებისა და საფრთხის თავიდან აცილების გამო გამოიყენება უზრუნველყოფის სხვადასხვა საშუალებები, რომელიც წინასწარ უზრუნველყოფს კრედიტორის ქონებრივ ინტერესს და ვალდებულების ჯეროვანი შესრულების სხვადასხვა გარანტიას ქმნის.[1]

აღნიშნული საბანკო პროდუქტების დანერგვა ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიწყო,[2] თუმცა ჯერ კიდევ რომის სამართალი იცნობდა საბანკო გარანტიის ანალოგიურ უზრუნველყოფას, რომელსაც receptum argentarii ერქვა. ეს იყო არაფორმალური შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ბანკირი იღებდა

[1] ლიპარტია ნ., საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნის მართვა და სამართლებრივი შედეგები, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2018, გვ. 18-19.

[2] ლიპარტია ნ., საბანკო გარანტიის სამართლებრივი ბუნების მიმოხილვა დამოუკიდებლობისა და "ზუსტი შესაბამისობის" პრინციპებთან მიმართებით, სამართლის ჟურნალი #2, თბილისი, 2017, გვ. 39.

ვალდებულებას თავისი კლიენტის წინაშე გადაეხადა მისი ვალი მესამე პირისათვის.[3] მოგვიანებით აქტიური გამოყენება დაიწყო 70-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ბანკირთა მონაცემებით შესამჩნევი ადგილი საერთაშორისო საბანკო ოპერაციებში თავდაპირველად ხელშეკრულებები დაიდო ნავთობის მომპოვებელ ქვეყნებსა და დასავლურ ქვეყნებში განლაგებულ კომერციულ სტრუქტურებს შორის ინფრასტრუქტურის - სამრეწველო, აგრარული და სოციალური სფეროების, ასევე ეროვნული თავდაცვის განვითარების მიზნით. სწორედ ამ მოვლენას უკავშირდება დამოუკიდებელი საბანკო გარანტიების (განსაკუთრებით კი პირველ მოთხოვნამდე გარანტიების) წარმოშობა და განვითარება ადრეულ საფეხურზე.[4] აქვე აღსანიშნავია, რომ გარანტია ფრანგული სიტყვაა და უზრუნველყოფას ნიშნავს.[5]

დოკუმენტური აკრედიტივიც უძველესი დროიდან მოყოლებული გამოიყენებოდა. მე-18 - მე-19 საუკუნეებში ვაჭრები მძარცველებისგან თავის დასაცავად მიმართავდნენ ბანკს, რათა დაცული ყოფილიყო მათი ფინანსები მოგზაურობის მანძილზე. მოგვიანებით, სავაჭრო ურთიერთობების განვითარებასთან ერთად გაიზარდა გამოყენების მასშტაბი, რამაც განაპირობა კანონმდებობის დახვეწა. დღესდღეისობით, როგორც უკვე აღვნიშნე, დოკუმენტური აკრედიტივის გარეშე მსხვილი გარირებები აღარ იდება.

აღნიშნული საბანკო პროდუქტების აქტუალობა განპირობებულია მათი საიმედოობით. მოთხოვნის უზრუნველყოფის ამ სახეების გამოყენებით მხარეები მეტად დაცულნი არიან ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად ზიანის მიყენებისგან. შესაბამისად, მარტივდება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება.

როგორც საბანკო გარანტიას, ისე დოკუმენტურ აკრედიტივს ახასიათებს რთული ბუნება, ამიტომ აუცილებელია დეტალური ანალიზი, რათა სწორად წარიმართოს და მხარეებმა შეძლონ ხელშეკრულების გათვალისწინებული მიზნის მიღწევა.

---

[3] გაბუნია დ., საბანკო გარანტიების სამართლებრივი რეგულირება საბაზრო ეკონომიკის პირობებში, „ალმანახი“, სამოქალაქო სამართალი #11, 1999, გვ. 46.

[4] ხოტენაშვილი პ., საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2015, გვ. 8.

[5] გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2012, გვ. 229.

წინამდებარე ნაშრომი ექვსი თავისაგან შედგება. პირველი სამი თავი ეძღვნება საბანკო გარანტიის ხელშეკრულებას. ნაშრომის პირველ თავში განხილულია საბანკო გარანტიის ხელშეკრულება, მისი მხარეები, ძირითადი არსი და მიზნები. ასევე ხელშეკრულების ნამდვილობისათვის საჭირო პირობები. იქიდან გამომდინარე, რომ საბანკო გარანტიის სახის სწორად განსაზღვრა ვალდებულების შესრულების მნიშვნელოვანი წინაპირობაა, ნაშრომში საბანკო გარანტიის სახეებია განხილული.

ნაშრომის მეორე თავი შედგება ორი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში მიმოხილულია საბანკო გარანტია, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება, მისი მიზნები, არააქცესორული ბუნება და მისი განსხვავება მოთხოვნის უზრუნველყოფის სხვა საშუალებებისგან. ძირითადი აქცენტი გაკეთებულია ვალდებულებით სამართლებრივ და სანივთო უზრუნველყოფის საშუალებების მახასიათებლების შედარებაზე. აღნიშნული თავის მეორე ნაწილში საბანკო გარანტია შედარებულია თავდებობასთან. აღნიშნული უზრუნველყოფის საშუალების გამოყოფა განპირობებულია მისი განსაკუთრებული აქტუალურობით. განხილულია ამ ორი ხელშეკრულების ბათილობის წინაპირობები.

მესამე თავი შედგება სამი ნაწილისაგან და მოიცავს საბანკო გარანტიის გაცემისა და სამართლებრივი შედეგის დადგომის პირობებს. პირველ ნაწილში განხილულია ბენეფიციარის მიერ გარანტისათვის თანხის ანაზღაურების მოთხოვნის წარდგენის ფორმა და წესი. განხილულია ის წინაპირობები, რომელთა დადგომაც გარანტს ავალდებულებს გადაიხადოს შეთანხმებული თანხა. მეორე ნაწილში საუბარია გარანტის უფლებაზე რეგრესის წესით მოითხოვოს თანხა პრინციპალისგან. მესამე ნაწილში კი განხილულია თანხის ანაზრაურებაზე გარანტის უარის თქმის საფუძვლები.

ნაშრომის მეოთხე თავი ეძღვნება დოკუმენტური აკრედიტივის ხელშეკრულების განხილვას და შედგენა ოთხი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში ამ შემთხვევაშიც განხილულია დოკუმენტური აკრედიტივის ხელშეკრულება, მისი მხარეები, ძირითადი არსი და მიზნები. მეორე ნაწილი მიმოიხილავს დოკუმენტური აკრედიტივის ძირითად ფუნქციებს. ესენია: სოკუმენტური აკრედიტივი როგორც გარანტია, გადახდის მექანიზმი და ფინანსური ინსტრუმენტი. მესამე ნაწილი ეხება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს - დოკუმენტური აკრედიტივის ანგარიშსწორების ეტაპებს. და ბოლოს, როგორც საბანკო გარანტიის შემთხვევაში შეთანხმებული მიზნის მისაღწევად აქაც

მნიშვნელოვანია ხელშეკრულების სახის სწორად შერჩევა შესაბამისად, განხილულია დოკუმენტური აკრედიტივის ძირითადი სახეები.

ნაშრომის მეხუთე თავი ეხება საბანკო გარანტიისა და დოკუმენტური აკრედიტივის მარეგულირებელ ნორმებს. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული ხელშეკრულებები ძირითადად გლობალური მასშტაბის არის, ნაშრომში მოკლედ განხილულია ძირითადი მარეგულირებელი საერთაშორისო ნორმები. კერძოდ, უნიფიცირევული ჩვეულებანი და პრაქტიკა დოკუმენტური აკრედიტივისთვის #500 და #600, ძირითადი განსხვავება ამ ორ დოკუმენტს შორის. მესამე ნაწილში განხილულია საბანკო გარანტიის რეგულირებისას აქტიურად გამოყენებადი სავაჭრო პალატის მიერ შემუშავებული პუბლიკაციები. კერძოდ, პუბლიკაცია #458 და #758. ასევე მათი წინმსწრები პუბლიკაცია #325.

ნაშრომის მეექვსე თავი ეხება საბანკო გარანტიისა და დოკუმენტური აკრედიტივის შედარებას. პირველ ნაწილში წარმოდგენილია ამ ორ ინსტიტუტს შორის არსებული მსგავსება და განსხვავება. აღნიშნულ თავში ასევე განხილულია თითოეული ინსტიტუტის დადებითი და უარყოფითი მხარეები, მათი რისკები. კერძოდ, საზოგადო, თაღლითობის, საკანონმდებლო და ფორსმაჟორული რისკები.

ნაშრომის ძირითადი ნაწილი დესკრიფციული სტილით არის შედგენილი. იდიოგრაფიული მეთოდის გამოყენებით განხილულია ორივე ხელშეკრულების მხარეების უფლება-მოვალეობანი, ანგარიშსწორებისა და მიზნის მიღწევის ეტაპები. შედარებით - სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით განხილულია აღნიშნული საბანკო პროდუქტების ნაკლოვანებები და უპირატესობანი. საერთაშორისო აქტებზე დაყრდნობით ნაშრომში ასევე გამოყენებულია კვლევის ინდუქციური მეთოდი, რომლის საშუალებითაც წარმოდგენილია ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობის ურთიერთმიმართება, რეკომენდაციები.

თავი I. საბანკო გარანტიის ხელშეკრულება

1.1. ძირითადი ნაწილი

საბანკო გარანტია უპირველეს ყოვლისა ნიშნავს კომფორტს, რომელიც უზრუნველყოფილია ბანკი ემიტენტის მიერ და გულისხმობს ბენეფიციარის დანაკარგის ან ზარალის მიღების შემთხვევაში მის ანაზღაურებას იმ შემთხვევაში თუ პრინციპალი ჯეროვნად ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს. უფრო ზუსტად კი, საბანკო გარანტია წარმოადგენს ბანკის გამოუთხოვად ვალდებულებას, გადაიხადოს საგარანტიო თანხა პრინციპალის მიერ ბენეფიციარის წინაშე აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. საბანკო გარანტია არის დამოუკიდებელი ვალდებულება და მისი პირობების თანახმად, ბანკი ვალდებულია გადაიხადოს თანხა ბენეფიციარის პირველივე მოთხოვნისთანავე.

კანონის თანახმად, საბანკო გარანტიის ვალდებულების მონაწილენი არიან გარანტი და პრინციპალი. გარანტად შეიძლება გამოვიდნენ ბანკი, საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია. ძირითად ვალდებულებაში პრინციპალი გვევლინება მოვალედ, რომელიც თავისი ვალდებულების შესასრულებლად გარანტად დადგომას სთხოვს გარანტს. კრედიტორი მოცემულ სიტუაციაში არის ბენეფიციარი. გარანტის სამსახური კი იმაში გამოიხატება, რომ პრინციპალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობისას მის კრედიტორს ანუ ბენეფიციარს გადაუხადოს პრინციპალის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესაბამისი ფულადი თანხა.[6] ცალსახაა, რომ პრინციპალი და ბენეფიციარი საგარანტიო ურთიერთობაში მთავარ სუბიექტებს წარმოადგენენ, რადგან ძირითადი ურთიერთობის გარეშე არც მისი უზრუნველყოფის და არც საბანკო გარანტიის გაცემის საჭიროება არ დადგება დღის წესრიგში. ძირითადი ვალდებულების უზრუნველყოფის პროცესში, გარანტი წარმოადგენს ბენეფიციარისა და პრინციპალის დამაკავშირებელ სუბიექტს,[7] რადგან სწორედ გარანტორის არსებობა უბიძგებს მხარეებს ხელშეკრულების დადებისკენ.

---

[6] შენგელია რ., ნინიძე თ., ხეცურიანი ჯ., ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი მეორე, გამომც. „სამართალი“, თბილისი, 2001, მუხლი 879, გვ. 216.

[7] ათაბეგაშვილი დ., გარანტის პასუხისმგებლობის ფარგლები ICC-ის უნიფიცირებული წესების მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი #2(58), 2018, გვ. 100.

პრინციპალი წერილობით მიმართავს გარანტს ბენეფიციარის წინაშე ვალდებულების შესრულების შესახებ, ხოლო გარანტი თავის მხრივ იმავე ფორმით კისრულობს გადახდის ვალდებულებას. მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს გარანტიაში მითითებული დოკუმენტები. ამასთანავე უნდა მიეთითოს, თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა. ბენეფიციარის მოთხოვნა გარანტს უნდა წარედგინოს გარანტიით განსაზღვრული იმ ვადის დამთავრებამდე, რა ვადითაც გაიცა გარანტია.

საბანკო გარანტია განსაკუთრებით ხელსაყრელი და მიმზიდველია ბენეფიციარისთვის. მნიშვნელოვანი რისკები საბანკო გარანტიიდან ბენეფიციარისთვის არ გამომდინარეობს. საბანკო გარანტიის ვალდებულების სხვა მონაწილეებთან შედარებით მას საკმაოდ ძლიერი სამართლებრივი პოზიცია აქვს.[8]

პირველ ეტაპზე ხელშეკრულება იდება პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის. სწორედ ამ ძირითადი ხელშეკრულებით განისაზღვრება მოთხოვნის უზრუნველყოფის სახით საბანკო გარანტიის გამოყენება. აღნიშნული პირობისთვის სამართლებრივი საფუძვლის მინიჭება საჭიროებს ცალკე ხელშეკრულებების დადებას. თავის მხრივ საგარანტიო ხელშეკრულება იდება პრინციპალსა და გარანტს შორის საბანკო გარანტიის გაცემის თაობაზე, რაც თავის მხრივ იწვევს გარანტსა და ბენეფიციარს შორის გარიგების დადებას. როგორც იურიდიულ ლიტერატურაში აღინიშნება, საბანკო გარანტია არც ერთ სტადიაზე არ წარმოშობს გარანტსა და ბენეფიციარს შორის ხელშეკრულებას, უფრო მეტიც მათ შორის ვალდებულებით - სამართლებრივი ურთიერთობა ყალიბდება საბანკო გარანტიის გაცემისთანავე.[9] შესაბამისად, საბანკო გარანტიის ხელშეკრულება რეალურია.

უნდა აღინიშნოს, რომ საბანკო გარანტიის გაცემის დროს გარანტი მხოლოდ პრინციპალის გადახდისუნარიანობის შემოწმებით შემოიფარგლება.[10] ამის

---

[8] ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2014, გვ. 568, იქ. ციტირება: Graf von Westphalen, Die Bankgarantie im internationalen Handelsverkehr, S8; Horn, NJW 1980, S2153.

[9] გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2012, გვ. 230.

[10] ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2014, გვ. 569, იქ. ციტირება: Graf von Westphalen/Jud/Westphalen, Die Bankgarantie im internationalen Handelsverkehr, S7.

მიზეზი კი ის გახლავთ, რომ მოთხოვნის შემთხვევაში გარანტს შეეძლოს რეგრესის წესით პრინციპალისგან თანხის მიღება.

საბანკო გარანტია წარმოადგენს სასყიდლიან ხელშეკრულებას, რადგან გარანტიის გაცემისათვის პრინციპალისგან გარანტი იღებს შესაბამის საზღაურს. მიუხედავად საკმაოდ მაღალი ფასისა საბანკო გარანტიის ხელშეკრულება აქტუალობას არ კარგავს.

გარანტიის გაცემის შესახებ ხელშეკრულება წარმოადგენს კაუზალურ გარიგებას, ვინაიდან ურთიერთობის ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი მოვალეობების შეუსრულებლობა უფლებას აძლევს მეორე მხარეს შეაჩეროს თავისი მოვალეობების შესრულება, მაგრამ, თუ, მაგალითად, გარანტმა უკვე გასცა გარანტია, ხოლო პრინციპალმა მას არ გადაუხადა შესაბამისი საზღაური, მას წარმოეშობა ამ თანხის პრინციპალისათვის გადახდევინების უფლება. წინააღმდეგ შემთხვევაში პრინციპალი უსაფუძვლოდ გამდიდრდება გარანტის ხარჯზე. ამასთან, საზღაურის გადაუხდელობა არ გამოიწვევს საგარანტი წერილის ბათილობას.[11]

აღსანიშნავია, რომ საბანკო გარანტიები შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც წმინდა საფინანსო (სესხები, ოვერდრაფტები, ობლიგაციების გამოშვება, დაზღვევა და სხვა) ასევე არასაფინანსო კონტრაქტების (ყიდვა-გაყიდვა, მშენებლობა, ქირავნობა) უზრუნველყოფის მიზნით.[12]

1.2. ხელშეკრულების ძირითადი პირობები

ნებისმიერი ხელშეკრულების ნამდვილობისთვის ან/და შემდგომში გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია განისაზღვროს ხელშეკრულების არსებითი პირობები, რაც თავისთავად ყველა ხელშეკრულებისთვის ინდივიდუალურია. თითოეული პუნქტი უნდა იყო მკაფიო და ზუსტი, არ შეიცავდეს ორაზროვან დებულებებს და შეესაბამებოდეს

[11] ხოტენაშვილი პ., საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2015, გვ. 19.
[12] ხოტენაშვილი პ., საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2015, გვ. 9.

კანონმდებლობას. ხელშეკრულების მთავარ პირობას წარმოადგენს მხარეთა განსაზღვრა; მითითება იმის შესახებ თუ რა სახის ტრანზაქცია საჭიროებს საბანკო გარანტიის გამოყენებას. თანხის მითითება წარმოადგენს აღნიშნული ხელშეკრულების სავალდებულო პირობას. მხარეების მიერ წერილობით უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების საგნის ღირებულება და ის თუ რა თანხის ფარგლებში ანაზღაურებაზე იღებს პასუხისმგებლობას გარანტი.

საერთაშორისო სავაჭრო პალატის #458 პუბლიკაციის „მოთხოვნამდე გარანტიათა უნიფიცირებული წესების“ მე-3 მუხლის მიხედვით, საბანკო გარანტიის ხელშეკრულების თითოეული პუნქტი და შესწორება უნდა იყოს გამჭვირვალე და ზუსტი და არ უნდა შეიცავდეს არასაჭირო, ზედმეტ დეტალებს. ამდენად, ყოველი გარანტია იმპერატიულად უნდა შეიცავდეს შემდეგ კომპონენტებს:

ა) პრინციპალის დასახელება;

ბ) ბენეფიციარის დასახელება;

გ) გარანტის დასახელება;

დ) ძირითადი კონტრაქტის მითითება, რომელშიც აღნიშნულია გარანტიის გაცემის შესახებ;

ე) გადასახდელი თანხის მაქსიმალური ოდენობა და ვალუტა;

ვ) გარანტიის მოქმედების ვადა;

ზ) პირობები, რომლის საფუძველზეც ხდება გადახდა;

თ) პირობა, რომელიც განსაზღვრავს საგარანტიო თანხის შემცირების წესს.[13]

ხელშეკრულების ნამდვილობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს მისი ძალაში შესვლის და მოქმედების ვადები. ხელშეკრულება შესაძლოა ძალაში შევიდეს მხარეთა შეთანხმებული თარიღის ან რაიმე პირობის დადგომის შედეგად.[14] საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, „მხარეები თავისუფალი არიან საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის განსაზღვრის წესში, რაც შეიძლება დამოკიდებული იყოს,

[13] Uniform Rules for Demand Guarantees, ICC pub. N 458, article 3.
[14] Uniform Rules for Demand Guarantees, ICC pub. N 458, article 6, ასევე 1997 წლის 26 ივნისის საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 884.

როგორც კალენდარულ თარიღზე, რაიმე პირობაზე, რაიმე მოვლენის დადგომაზე, ასევე რაიმე მოქმედების შერულებაზე".[15]

რაც შეეხება დასრულებას, გარანტია შესაძლოა დასრულდეს კონკრეტულ დროს ან გარანტისათვის დოკუმენტაციის წარდგენით, რომელშიც ნათლად იქნება ასახული დასრულების მიზანი. იმ შემთხვევაში თუ გარანტიაში ორივე შემთხვევა მოცემულია, ხელშეკრულება შეიძლება დასრულდეს რომელიმე შემთხვევის დადგომისთანავე.

გარანტმა ვალდებულება უნდა შეასრულოს გადახდის ადგილის ვალუტაში მაშინაც კი თუ ხელშეკრულებით მხარეებს ვალუტა განსაზღვრული აქვთ.[16] აღნიშნული პირობა მოქმედებს საქართველოშიც. კერძოდ, ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ლარი არის გადახდის ერთადერთი კანონიერი საშუალება საქართველოს ტერიტორიაზე, გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონებისა, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტებისა ან/და ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული შემთხვევებისა.

გარანტია შესაძლოა შეიცავდეს პირობას, რომლის თანახმადაც შესაძლებელია საგარანტიო თანხის შემცირება. ცვლილების განხორციელება ICC Uniform Rules for Demand Guarantees (შემდგომში URDG 758)-ის მე-11 მუხლის მიხედვით შესაძლებელია ბენეფიციარის თანხმობის გარეშე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს საბანკო გარანტიის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანას.[17] ვფიქრობ, ამ კუთხით კანონმდებლობა ცვლილებას საჭიროებს. მიუხედავად იმისას, რომ ამგვარი ხელშეკრულებების საგანი საკმაოდ ძვირადღირებულია და მხარეები განსაკუთრებული გულისყურით უდგებიან დოკუმენტაციის შედგენისა და წარდგენის საკითხს, მაინც არსებობს შეცდომის რისკი. ამის მხარეს უნდა ეძლეოს მისი გამოსწორების (შესწორების საშუალება) კანონით განსაზღვრულ ვადაში. ნებისმიერი ასეთი შესწორება / ცვლილებების შეტანა უნდა ეფუძვნებოდეს მხარეთა შეთანხმებას. მსგავსი

[15] ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომც. „მერიდიანი", თბილისი, 2014, გვ. 575, იქ. ციტირება: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამეწარმეო, სამოქალაქო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ოქტომბრის #ას-562-871-09 გადაწყვეტილება.

[16] Uniform Rules for Demand Guarantees, ICC pub. N 758, article 21.

[17] ჭიპაშვილი ნ., საბანკო გარანტია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო უნიციფირებული წესების მიხედვით, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, 2015, გვ. 140.

ბიზნეს ურთიერთობები ხშირ შემთხვევაში ხანგრძლივი დროით იდება. ამ დროის განმავლობაში კი გარკვეული გარემო ფაქტორები შესაძლოა შეიცვალოს, რაც თავის მხრივ, ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობას მოითხოვს. ხელშეკრულების მიზანს უნდა წარმოადგენდეს არა კომპენსაცია, არამედ ვალდებულების ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულება. ხშირად ბენეფიციარისთვის უპირველესი დათქმულ დროში ვალდებულების შესრულებაა და ამ ვადის გასვლის შემდეგ შესაძლოა შესრულების ინტერესის თავდაპირველი ხარისხი აღარ არსებობდეს.

ხელშეკრულებაზე ხელის მოწერამდე ამავე დროს მნიშვნელოვანია დაზუსტდეს ვინ იხდის გარანტორის მომსახურების ხარჯებს, როგორ მომზადდება ხელშეკრულების ნიმუში და რომელი ქვეყნის კანონი და იურისდიქცია გავრცელდება დავის არსებობის შემთხვევაში.[18] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, გარანტს საგარანტიო მომსახურების ხარჯებს პრინციპალი უხდის თუმცა ხელშეკრულებაში მისი დაზუსტება თანხის ოდენობასთან ერთად აუცილებელი პირობაა.

1.3. საბანკო გარანტიის სახეები

სხვადასხვა სახის კონტრაქტების დადებასა და შესრულებასთან დაკავშირებული რისკის ნაირფეროვნებამ, ასევე ანგარიშსწორების სხვადასხვა სახეებმა (მაგალითად წინასწარი გადახდა, ან შუალედური გადახდები), საგარანტიო ურთიერთობაში მონაწილე პირთა განსხვავებულმა შემადგენლობამ და ურთიერთმიმართებამ, სხვადასხვა მიზნებმა და მოქმედების მექანიზმებმა, ასევე მათი საშუალებით უზრუნველყოფილი ვალდებულებების მრავალფეროვნებამ გამოიწვია სხვადასხვა სახის საბანკო გარანტიათა წარმოშობა, თუმცა საბოლოო ჯამში ისინი ერთ მიზანს ემსახურებიან - ეს არის ვალდებულების შეუსრულებლობისაგან დაცვა.[19]

საბანკო გარანტიის სახის სწორად განსაზღვრა ვალდებულების შესრულების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. გარანტიის სახე კონკრეტული

[18] Bank Guarantees, SEB, p. 9.

[19] ხოტენაშვილი პ., საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2015, გვ. 39.

ქეისიდან გამომდინარე დგინდება. ამა თუ იმ სახის შერჩევა განპირობებულია შინაარსისა და მისაღწევი მიზნის დეტალური განხილვის მიხედვით.

უზრუნველყოფილი ვალდებულების შინაარსის მიხედვით ჩვეულებივ ანსხვავებენ ორი ძირითადი სახის გარანტიებს - გარანტიები, რომლებიც ემსახურებიან ფინანსური ვალდებულებების უზრუნველყოფას და გარანტიები, რომლებიც ემსახურებიან არაფინანსური ვალდებულებების უზრუნველყოფას. არაფინანსური გარანტიის სახეებია, მაგალითად, სატენდერო, შესრულების და მომსახურების გარანტიები, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ სახელშეკრულებო ურთიერთობის რომელ სტადიაზე იმყოფებიან მხარეები. მაგალითად, შესრულების გარანტიები, როგორც წესი, ფარავენ იმ რისკს, რაც დაკავშირებულია მისაწოდებელ პროდუქციაში დეფექტის აღმოჩენასთან, ანდა სამშენებლო კონტრაქტის შექსრულებასთან, სამუშაოების მიღების შესახებ შუალედური აქტის ხელმოწერასთან.[20]

ეკონომიკური ბუნებით საბანკო გარანტია წარმოადგენს ბანკი გარანტის საკრედიტო ოპერაციას (ე.წ. „საგარანტიო კრედიტი“) და საკრედიტო რისკის გადაცემის ერთ-ერთი საშუალებაა. პრაქტიკაში საბანკო გარანტიის არაერთი სახეა დამკვიდრებული. საბანკო გარანტიის დაყოფას სახეებად საფუძვლად უდევს ის ეკონომიკური ინტერესი, რომლისთვისაც გამოიყენება საბანკო გარანტია.[21]

საერთაშორისო ვაჭრობაში ყველაზე ხშირად გამოყენებადი საბანკო გარანტიის სახეებია :

1.3.1. სატენდერო გარანტია (Bid Bond or Tender Bond)

სატენდერო გარანტიის მიზანს წარმოადგენს თავიდან იქნეს აცილებული შემთხვევა, როცა კომპანია ტენდერში გამარჯვების შემდეგ უარს ამბობს კონტრაქტის გაგრძელებაზე ინტერესის დაკარგის ან სხვა მიზეზის გამო.

[20] ხოტენაშვილი პ., საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2015, გვ. 66.
[21] გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2012, გვ. 239.

აღნიშნული გარანტია იცავს პროექტის ავტორს ზარალის მიყენებისგან და უზრუნველყოფს მის კომპენსირებას.

სატენდერო გარანტიის მონაწილეები არიან: კრედიტორი (ბენეფიციარი), პრინციპალი და გარანტი. ტენდერში გამარჯვების შემდეგ პრინციპალი გარანტს სთხოვს შუამდგომლობას წინასწარ განსაზღვრული თანხის ფარგლებში.

სატენდერო გარანტიის მომსახურების საფასური შეადგენს სრული თანხის 1-5%. სატენდერო გარანტია შეიძლება მოითხოვო იმ შემთხვევაში თუ ვადის ამოწურვამდე წყვეტ ხელშეკრულებას, სატენდერო შეთავაზება არ არის სათანადოდ მომზადებული და ფერხდება მისი მიღება ან საერთოდ ვერ იღებ და ითხოვ იმ შემთხვევაში თუ ვერ უზრუნველყოფს აუცილებელ საგარანტიო მახასიათებლებს.[22]

სატენდერო გარანტიები საქართველოში სახელმწიფო ტენდერებში აქტიურად გამოიყენება. აღნიშნული სახის გარანტია თითქმის ყველა გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერსა და ელექტრონულ ტენდერებში მონაწილეობის აუცილებელი პირობაა. აღნიშნულ გარანტიასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონით[23] და შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანებით. აღნიშნული ბრძანება სატენდერო გარანტიას მოიხსენიებს როგორც „წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონულ გარანტიას“. აღნიშნული გარანტიის ერთადერთი მიზანი ტენდერის ჩატარების შემთხვევაში ხელშეკრულების დადების უზრუნველყოფაა, პრინციპალმა ბოროტად რომ არ გამოიყენოს უფლებამოსილება და ტენდერში გამარჯვების შემდგომ უარი არ თქვას ხელშეკრულების დადებაზე. ელექტრონული გარანტიის ბენეფიციარს წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო და სატენდერო გარანტიის ატვირთვა ხორციელდება ელექტრონულად, ავტომატური საშუალებით.[24]

---

[22] Bank Guarantees, Credit Suisse, 10th revised edition, 2010, p. 16.

[23] 2005 წლის 20 აპრილის საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“.

[24] ლიპარტია ნ., სახელმწიფო შესყიდვების ურთიერთობებში გამოყენებადი საბანკო გარანტიის სახეები, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი #4 (52), 2016, გვ. 125.

1.3.2. შესრულების გარანტია (Performance Bond)

შესრულების გარანტია უზრუნველყოფს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პირობების დაცვას. კერძოდ, უზრუნველყოფს პრინციპალის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შესრულებას. აღნიშნული გარანტია პრაქტიკაში ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებადი სახეა და ძირითადად უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ გარანტიებთან გამოიყენება.

შესრულების საბანკო გარანტია აქტიურად გამოიყენება როგორც ტენდერების (საჯარო თუ კერძო), ისე კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში სუბიექტთა შორის დადებული გარიგებების შემთხვევაში და მისი ტექსტი (საგარანტიო ბირობები) ყველაზე მრავალფეროვანია.[25]

შესრულების გარანტია, როგორც წესი, კონტრაქტის ღირებულების 5 - 10%-ს ფარავს.[26]

შესრულების გარანტიის ტექსტი, როგორც წესი, ზოგადად აღწერს იმ ობიექტს, რომლის კომპენსაციაც შეუსრულბლობის შემთხვევაში ხდება საგარანტიო წერილის შესაბამისად. შესრულების გარანტიათა მოქმედება, როგორც წესი, ვრცელდება არა მარტო, მაგალითად, აღჭურვილობის მიწოდებაზე, არამედ ასევე მის მონტაჟზე, საგარანტიო პერიოდში მის მუშაობაზე და ამავე ხელშეკრულებისან გამომდინარე სხვა ვალდებულებებზე.[27] შესრულების გარანტიის მოქმედების ვადა საავანსო უზრუნველყოფის გარანტიასა და მიწოდების გარანტიასთან (Delivery Guarantee) შედარებით უფრო მეტია, რადგან ფარავს ისეთ ვალდებულებებს როგორიც არის ტექნიკური გარანტია, რომელიც გრძელდება გადაცემის შემდეგაც.[28]

---

[25] ლიპარტია ნ., სახელმწიფო შესყიდვების ურთიერთობებში გამოყენებადი საბანკო გარანტიის სახეები, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი #4 (52), 2016, გვ. 127.

[26] Bank Guarantees in Foreign Trade, UniCredit, Corporate and Investment Banking, Munich, 2017, p. 12.

[27] ხოტენაშვილი პ., საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2015, გვ. 68, იხ. ციტირება: Vestpalen F., Die Bankgarantie im internationalen Handelsverkehr, 2nd ed, Heidelberg 1990, p.39.

[28] Bank Guarantees in Foreign Trade, UniCredit, Corporate and Investment Banking, Munich, 2017, p. 12

1.3.3. საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტია (Advanced Payment Guarantee or Repayment Guarantee or Interim Payment Guarantee)

საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ძირითად მიზანს წარმოადგენს მყიდველსა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ზედმიწევნით დაცვა. ბენეფიციარის მხრიდან ხელშეკრულების ღირებულების სრული ან ნაწილობრივი წინასწარი ანაზღაურების შემთხვევაში, საბანკო გარანტია უზრუნველყოფს თანხის მიზნობრივად ხარჯვას. ამასთან, თანხის ავანსის არამიზნობრივად გაუხარჯაობის შემთხვევაში, ბენეფიციარს დაუბრუნდება გაუხარჯავი თანხა გარანტიის პირობების შესაბამისად.

იქიდან გამომდინარე, რომ ვალდებულების დარღვევა ფართო ცნებაა, იგი ყოველთვის ხელშეკრულების მიზნიდან, დანიშნულებიდან და შინაარსიდან გამომდინარე უნდა განიმარტოს. შესაბამისად, საავანსო გარანტიის პირობათა დარღვევად განხილულ უნდა იქნეს საავანსო თანხის არამიზნობრივი გამოყენება ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა იმგვარი დარღვევა, რომელიც ხელშეკრულებიდან გასვლას, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენასა და შესაბამისად, საავანსო თანხის დაბრუნებას იწვევს.[29]

1.3.4. გადახდის გარანტია (Payment Guarantee)

გადახდის გარანტია ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა. მისი საშუალებით უზრუნველყოფილია პრინციპალის მიერ ბენეფიციარისათვის შეთანხებული თანხის გადახდა. ასეთი გარანტია შესაძლოა ეფუძვნებოდეს სასესხო ან მსგავს ვალდებულებით სამართლებრივ ურთიერთობას.

[29] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე # 2ბ/3772-14.

1.3.5. საბაჟო გარანტია (Customs Guarantee)

საბაჟო გარანტია უზრუნველყოფს საბაჟო გადასახადის დაცვას. როგორც წესი, გამოიყენება ქვეყანაში იმპორტის შემოტანისას. გარანტის მიმართ მოთხოვნა წარმოიშობა თუ დადგენილ დროში არც საქონელი რეექსპორტი მოხდება და არც ბაჟი გადაიხდება.

საბაჟო ორგანოების სასარგებლოდ გაცემული გარანტია უზრუნველყოფს საბაჟო გადახდების გადახდას აქციზური მარკების მიღების დროს, ვალდებულებათა შესრულებას საბაჟო საწყობების გასახსნელად, ლიცენზიების გაფორმებისას, საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის დროებით შემოტანისას და სხვა გარიგებათა დადებისას. აღნიშნული საკითხი საქართველოში რეგულირდება ფინანსთა მინისტრის ბრძანება #290-ის მიხედვით (საქართველოს საბაჟო ტერტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების წესი).

1.3.6. ხარისხის გარანტია (Quality Guarantee, Warranty Guarantee, Maintenance Guarantee, Retention Guarantee)

ხარისხის გარანტია გამოიყენება ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონლის (შესრულებული სამუშაოს) დეფექტების გამოსწორების თანხების უზრუნველსაყოფად.[30] მისი მიზანია, შესრულებული სამუშაოს ან საგნის გადაცემის შემდეგ საგარანტიო ვადის ამოწურვამდე ხარვეზის წარმოშობის შემთხვევაში ბენეფიციარმა შეძლოს თავისი მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება. პრინციპალის მიერ პროექტის ფარგლებში ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში ბენეფიციარს წარმოეშობა გარანტიით გათვალისწინებული თანხის მოთხოვნის უფლება.

[30] ლიპარტია ნ., სახელმწიფო შესყიდვების ურთიერთობებში გამოყენებადი საბანკო გარანტიის სახეები, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი #4(52), 2016, გვ. 131.

1.3.7. კრედიტის უზრუნველყოფის გარანტია (Credit Security Guarantee)

კრედიტის უზრუნველყოფის გარანტიის ფუნქციას წარმოადგენს გამსესხებლისთვის კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფა.

1.3.8. გამოხმობადი და გამოუხმობადი საბანკო გარანტია

ამასთან ერთად განასხვავებენ გამოხმობად და გამოუხმობად საბანკო გარანტიას. თუკი საბანკო გარანტია გამოთხოვადია, მისი განხორციელება მხოლოდ გარანტს შეუძლია.[31] თუ გარანტს არ გამოუყენებია გამოთხოვის უფლება, ხოლო ბენეფიციარი მოითხოვს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, გარანტის გამოთხოვის უფლება უქმდება. იმ შემთხვევაში, როდესაც გარანტის მიერ გამოუთხოვადი საბანკო გარანტია იყო გაცემული და გარანტი შემდგომში მოითხოვს მის გამოთხოვას, მაშინ ამგვარი გამოთხოვა ბათილია და იგი გავლენას ვერ მოახდენს გარანტის პასუხისმგებლობაზე.[32]

იმ შემთხვევაში თუ მხარეებს სურთ გამოხმობადი საბანკო გარანტიის ხელშეკრულების დადება აუცილებელია ხელშეკრულებაში ამის მითითება. წინააღმდეგ შემთხვევაში გარანტია გამოუხმობადია.

ზოგადად, საბანკო გარანტია მიუხედავად მისი სახისა და დანიშნულებისა, პრინციპალის მიერ ბენეფიციარის წინაშე ნაკისრი სხვადასხვა სახის ვალდებულებების ჯეროვანი შესრულების გარანტიას წარმოადგენს. საბანკო გარანტიის, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის გამოყენება აქტუალურია იმ შემთხვევაში, როდესაც მეწარმეს ბიზნეს პროექტების განხორციელებისათვის კრედიტი კი არ სჭირდება, არამედ გარანტია, რომ ბანკი პრობლემის წარმოშობის დროს მისცემს მას ფულად სახსრებს მოვალის ვალდებულების შესრულების სანაცვლოდ. თუმცა, საბანკო გარანტიის სხვადასხვა სახე

---

[31] ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2014, გვ. 578, იქ. ციტირება: Schutze, Bankgarantien, S10.

[32] იხ. იქვე.

სამართალურთიერთობის სხვადასხვა მიზანს ემსახურება. შესაბამისად, საბანკო გარანტიის ფარგლებში გარანტის მიერ ბენეფიციარის სასარგებლოდ გაცემული ფულადი თანხა, ყოველთვის არ შეესაბამება იმ პირობებს, რომელიც პრინციპალსა და გარანტს შორის ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. აღნიშნულ გარემოებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საბანკო გარანტიის სახით გაცემული თანხის მართლზომიერად მიჩნევის მიზნებისათვის, რადგან თანხის გაცემის მართლზომიერება განსაზღვრავს საბოლოო ჯამში გარანტის მიერ ბენეფიციარისთვის გადახდილი თანხა რეგრესის წესით პრინციპალისგან უნდა იქნეს ანაზღაურებული თუ მითითებული თანხა, როგორც უსაფუძვლოდ მიღებული, ბენეფიციარისაგან უნდა იქნეს გამოთხოვილი.[33]

თავი II. საბანკო გარანტია, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება

2.1. საბანკო გარანტია, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება და მისი განსხვავება მოთხოვნის უზრუნველყოფის სხვა საშუალებებისგან

საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ურთიერთობების განსაზღვრისა და მონაწილეთა უფლებებისა და მოვალეობების სწორად მართვისათვის უმნიშვნელოვანესია გარანტიის ბუნების განსაზღვრა.[34] საბანკო გარანტია წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის ვალდებულებით სამართლევრივ საშუალებას. უზრუნველყოფის საშუალებები გამოიყენება კრედიტორის დასაცავად, რათა არ მოხდეს მოვალის მიერ ხელშეკრულების პირობის დარღვევის შემთხვევაში მისი კომპენსაციის გარეშე დატოვების საშიშროება.

გარანტიის ძირითადი მიზანია დაიცვას კრედიტორი (ბენეფიციარი) დანაკარგებისაგან ძირითადი მოვალის (პრინციპალის) უუნარობისას შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება. ბენეფიციარს უფლება აქვს მოითხოვოს თანხის გადახდა თვით გარანტიაში განსაზღვრული პირობების დაცვით და

[33] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე #2ბ/3772-14.

[34] ლიპარტია ნ., საბანკო გარანტიის სამართლებრივი ბუნების მიმოხილვა დამოუკიდებლობისა და "ზუსტი შესაბამისობის" პრინციპებთან მიმართებით, სამართლის ჟურნალი #2, 2017, გვ. 42.

ბანკს (გარანტს) არ შეუძლია წამოაყენოს კრედიტორის წინააღმდეგ რაიმე შესაგებელი, რომელიც ეყრდნობა ძირითად კონტრაქტს.[35]

განასხვავებენ იზრუნველყოფის სანივთო და ვალდებულებით სამართლებრივ საშუალებებს. სამოქალაქო სამართალში წარმოშობილი ნებისმირი ვალდებულება ექვემდებარება უზრუნველყოფას.[36] მოთხოვნის უზრუნველყოფის სახე მხარეთა მიერ ხელშეკრულების შინაარსის მიხედვით ან კანონის საფუძველზე შეირჩევა. საბანკო გარანტია წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის ვალდებულებით სამართლევრივ საშუალებას.

საბანკო გარანტიის ხელშეკრულებას ნამდვილობისთვის არ სჭირდება სანოტარო დამოწმება, რადგან წარმოადგენს მარტივი წერილობითი ფორმის მქონე დოკუმენტს, რომელიც შეიცავს ფულის უპირობო გადახდის შესახებ წერილობით დათქმას.[37] პრინციპალსა და გარატს შორის ხელშეკრულებისათვის კანონი რაიმე ფორმას არ ითვალისწინებს, იგი შეიძლება ზეპირადაც დაიდოს.[38] სსკ-ის 879-ე მუხლიდან გამომდინარე, ფორმასავალდებულო მხოლოდ თავად საბანკო გარანტიაა, რომელსაც გარანტი გასცემს ბენეფიციარზე.[39] ამგვარ ვალდებულებას კისრულობს გარანტი პრინციპალის თხოვნით ბენეფიციარის სასარგებლოდ.

უზრუნველყოფის საშუალებების დიფერენციაციისთვის მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს მისი ხასიათის დადგენა. კერძოდ, უნდა განისაზღვროს აქცესორულია შერჩეული უზრუნველყოფის საშუალება თუ არააქცესორული. აღნიშნული საკითხი პირდაპირ კავშირშია სამართლებრივ შედეგთან. აქცესორულია უფლება იმ შემთხვევაში თუ იგი ძირითადი მოთხოვნის გარეშე არარსებობს ანუ ძირითადი მოთხოვნის ბათილობის ან სხვაგვარად შეწყვეტის შემთხვევაში უზრუნველყოფის საშუალების გამოყენებაზე მოთხოვნის უფლებაც

---

[35] ხოტენაშვილი პ., საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2015, გვ. 24, იხ. ციტირება: ICC პუბლიკაცია #458 „უნიფიცირებული წესები მოთხოვნამდე გარანტიებისათვის“, მუხლი 2b.

[36] ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, გამომც. „სამართალი“, თბილისი, 2013, გვ. 16, იხ. ციტირება: ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 1999, გვ. 76-77.

[37] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე #2ბ/4960-16.

[38] ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, გამომც. „სამართალი“, თბილისი, 2013, გვ. 213.

[39] ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2014, გვ. 570.

წყდება. აქცესორული უფლება სხვა უფლებაზეა დამოკიდებული და მის გარეშე არ შეიძლება არსებობდეს.[40] აქცესორული ურთიერთობა მხოლოდ უფლებათა შორის ურთიერთობაა, რომელშიც ერთი უფლება ემსახურება მეორეს მიზნებს.[41] შესაბამისად, ძირითადი ხელშეკრულების ბათილობა იწვევს აქცესორული საშუალების ბათილობას. არააქცესორული უზრუნველყოფის საშუალების შემთხვევაში საკითხი განსხვავებულად წესრიგდება. აქ ძირითადი და დამატებითი მოთხოვნა ცხადია ურთიერთკავშირშია, თუმცა მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას ხელს არ უშლის ძირითადი ხელშეკრულების ბათილობა ან სხვაგვარად შეწყვეტა. ამის მიუხედავად, ბენეფიციარსა და გარანტს შორის არსებული შეტანხმება ძალაშია და ბენეფიციარს კვლავ რჩება გარანტის მიმართ მოთხოვნის უფლება. მაშინაც კი, როცა გარანტია შეიცავს მითითებას ამ ვალდებულებაზე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 881-ე მუხლი).

მიუხედავად საბანკო გარანტიის კანონით გათვალისწინებული (არააქცესორული) ბუნებისა და მისი დამოუკიდებლობისა ძირითადი ვალდებულებისაგან, მისი გაცემის მართლზომიერად მიჩნევის მიზნებისათვის აუცილებელია, რომ საბანკო გარანტია აკმაყოფილებდეს ორ მნიშვნელოვან წინაპირობას. კერძოდ, ბენეფიციარის მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები უნდა შეესაბამებოდეს გარანტიის პირობებს და მისი წარდგენა უნდა მოხდეს მხოლოდ გარანტიით განსაზღვრულ ვადაში.[42]

მოთხოვნის უზრუნველყოფის შესახებ ხელშეკრულების ფორმა (ზეპირი ან წერილობითი) დამოკიდებულია თვითონ ხელშეკრულების შინაარსზე, მის სახეზე ან კანონით არის განსაზღვრული. უზრუნველყოფის საშუალებათა უმეტესობა პრაქტიკაში, მიუხედავად იმისა, ითვალისწინებს თუ არა კანონი სავალდებულო წერილობით ფორმას, მაინც ფორმდება წერილობით. უზრუნველყოფა ცალკე ხელშეკრულებად უნდა გაფორმდეს თუ ძირითადი ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად, ხშირ შემთხვევაში კრედიტორის ნებაზეა დამოკიდებული. როცა ძირითადი ხელშეკრულება, რომლის უზრუნველსაყოფადაც იდება უზრუნველყოფის ხელშეკრულება, ფორმის

[40] ზოიძე ბ., ხეცურიანი ჯ., ახვლედიანი ზ., ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, გამომც. „სამართალი“, თბილისი, 1999, მუხლი 153, გვ. 34.
[41] ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 2003, გვ. 52.
[42] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე #2ბ/4960-16.

დარღვევის გამო ბათილია, ეს იწვევს უზრუნველყოფის ბათილობასაც, თუკი უზრუნველყოფის საშუალება აქცესორულ უზრუნველყოფას განეკუთვნება.[43]

მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო საშუალებებისგან განსხვავებით მოთხოვნის უზრუნველყოფის ვალდებულებით სამართლებრივი საშუალებები (ამ შემთხვევაში საბანკო გარანტია) მეტად სწრაფი და ეფექტურია კრედიტორისთვის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. სანივთო საშუალებები (იპოთეკა, გირავნობა) საჭიროებს დოკუმენტების სხვადასხვა ორგანოებში რეგისტრაციას, რაც მოითხოვს როგორც ზედმეტ დროს, ისე ფინანსებს. ბიზნეს ურთიერთობებში დროის ეკონომია მეტად მნიშვნელოვანია. სწორედ ამ მიზეზით, სერიოზული სავაჭრო ოპერაციები აღარ ტარდება საბანკო გარანტიის გარეშე. ძირითადი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, ბენეფიციარის უფლებების დაცვა მოკლე დროშია შესაძლებელი.[44] მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო საშუალებების დროს კი თითოეული ეტაპი დროში იწელება, რადგან საჭიროებს ბიუროკრატიული პროცედურების გავლას.

პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში ბენეფიციარს უჩნდება მოთხოვნა გარანტის მიმართ, ანუ ბენეფიციარი გამოდის კრედიტორის როლში და ითხოვს პრინციპალის შეუსრულებელი ანდა არაჯეროვნად შესრულებული ვალდებულების სრულად შესრულებას. თუმცა, ჩვეულებრივი კრედიტორისაგან განსხვავებით, კრედიტორ - ბენეფიციარი არ არის უფლებამოსილი მოთხოვნის უფლება სხვა პირს დაუთმოს. იგულისხმება, რომ გარანტი შეიძლება თანახმა არ იყოს სხვა პირისათვის პრინციპალის ვალდებულებების შესრულებაზე და გარდა ამისა, საბანკო გარანტია კონკრეტულ პირებს შორის არსებული ძირითადი ვალდებულების შესრულებას ემსახურება.[45] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 883-ე მუხლის მიხედვით მოთხოვნის გადაცემა მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით არის შესაძლებელი.

საბანკო გარანტიათა დამოუკიდებლობის პრინციპი ასახულია გაეროს სავაჭრო კომისიის მიერ შექმნილ დამოუკიდებელი გარანტიებისა და რეზერვული აკრედიტივების შესახებ 1996 წლის ნიუ იორკის კონვენციაში (UN

---

[43] ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, გამომც. „სამართალი“, თბილისი, 2013, გვ. 52.

[44] გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2012, გვ. 227.

[45] შენგელია რ., ნინიძე თ., ხეცურიანი ჯ., ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი მეორე, გამომც. „სამართალი“, თბილისი, 2001, მუხლი 883, გვ. 220.

Convention on demand guarantee and stand-by letters of credit) და საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ შექმნილ უნიფიცირებულ წესებში. კერძოდ, დამოუკიდებელი გარანტიების შესახებ (The Uniform for Demand Guarantee) #458 და #758 უნიფიცირებულ წესებში.[46] საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობის პრინციპის შეზღუდვა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს თავის არაერთ გადაწყვეტილებაში აქვს მითითება საბანკო გარანტიის დამოუკიდებელი ბუნების შესახებ.[47]

2.2. საბანკო გარანტიის განსხვავება თავდებობისგან

როგორც საბანკო გარანტია, ისე თავდებობა ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი მექანიზმია. ისინი გამოიყენება დიდი და მცირე ტრანზაქციების დროს. მთავარი განსხვავება ამ ორ ინსტიტუტს შორის არის ის, რომ თავდებობა დაფუძვნებულია თანამონაწილეობაზე, ხოლო გარანტია პირველადი, მთავარი ვალდებულებაა.

თავდებობის შეთანხმება არის ისეთი ხელშეკრულება, რომელიც ქმნის პირობით ვალდებულებას თავდებსა და კრედიტორს შორის. თავდებობის დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ მას გააჩნია მეორადი, აქცეროსული და დამხმარე ვალდებულება, რაც გულისხმობს იმას, რომ თავდები თანხმდება გადაიხადოს მოვალის მიერ გადასახდელი თანხა იმ შემთხვევაში თუ ეს უკანასკნელი არ შეასრულებს ვალდებულებას.[48]

ძირითადი საერთო ნიშანი ამ ორ ინსტიტუტს შორის არის ის, რომ ორივე გახლავთ მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება და არც ერთ შემთხვევაში არც თავდები და არც გარანტი არ არიან კრედიტორის პირადი მოვალეები. ისინი ვალდებულების შესრულებას კისრულობენ მესამე პირის სასარგებლოდ.

---

[46] ლიპარტია ნ., საბანკო გარანტიის სამართლებრივი ბუნების მიმოხილვა დამოუკიდებლობისა და "ზუსტი შესაბამისობის" პრინციპებთან მიმართებით, სამართლის ჟურნალი #2, 2017, გვ. 42.
[47] მაგ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე #ას-782-739-2015., საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე # ას-749-709-2015.
[48] Suretyship & Guarantee, Corporate Commercial Attorneys, https://www.vdma.co.za/suretyship-guarantee/

ბენეფიციარისთვის საბანკო გარანტიის მიმზიდველობა იმაში მდგომარეობს, რომ საბანკო გარანტია თავდებობის მსგავსად განეკუთვნება პირადი უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის დროსაც ვალდებულების შესრულება სწორედ უზრუნველყოფის გამცემის გადახდისუნარიანობაზეა დამოკიდებული.[49]

ორივე ხელშეკრულება კანონის თანახმად იდება წერილობითი ფორმით. ფორმის დაუცველად დადებული გარიგება კი სსკ-ის 59-ე მუხლის მიხედვით ბათილია.

მსგავსების მიუხედავად, მათ შორის არსებობს ისეთი განმასხვავებელი ნიშანი, რომელიც მთლლიანად ცვლით მათ ბუნებას. ეს გახლავთ თავდებობით აქცესორული ხასიათი და საბანკო გარანტიის არააქცესორულობა.

გარანტიის ხელშეკრულება არის დამოუკიდებელი დაპირება. მისი არსებობა არ არის დამოკიდებული ძირითადი ვალდებულების არსებობაზე, თუმცა ფაქტობრივად საბანკო გარანტია ამ ვალდებულების უზრუნველსაყოფად არის შეთანხმებული და საბანკო გარანტიაში ყოველთვის არის მითითება ამ ხელშეკრულებაზე.[50] როგორც უკვე აღვნიშნე, გარანტიის შემთხვევაში ძირითადი ხელშეკრულების ბათილობა ან სხვაგვარად შეწყვეტა არ იწვევს გარანტიის შესახებ შეთანხმების გაუქმებას და ბენეფიციარი მაინც უფლებამოსილია მოითხოვოს თანხის ანაზღაურება. მაშინ როცა აქცესორული უფლების შემთხვევაში, თავდების პასუხისმგებლობა ეფუძვნება ძირითადი ხელშეკრულების არსებობას. მისი შეწყვეტის შემთხვევაში თავდები თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან.

განსხვავება მდგომარეობს ასევე იმ პირთა წრეში, რომლებიც კრედიტორის წინაშე კისრულობენ მოვალის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, თავდებობის შემთვევაში თავდები შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი, შეზღუდვის გარეშე (ცხადია იგულისხმება პირის ქმედუნარიანობა), ხოლო საბანკო გარანტიის შემთხვევაში ეს პირთა წრე შეზღუდულია და გარანტი შეიძლება იყოს ბანკი, საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია.

---

[49] ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2014, გვ. 568, იქ. ციტირება: Schimansky/Bunte/Lwowski/T.Fischer; Bankrechtshandbuch, Band II, &121 Rn 9.

[50] ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, გამომც. "სამართალი", თბილისი, 2013, გვ. 208, იქ. ციტირება: Horn/Staudinger, BGB Kommentar, 13. Aufl. Vorbem zu &765, Rn. 194.

საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობა და არააქცესორულობა გამოიხატება იმაში, რომ ბენეფიციარს უფლება აქვს მოთხოვნა წაუყენოს გარანტს, მაშინაც, თუ მოხდება გარანტის მიერ ბენეფიციარის მოთხოვნის საფუძველზე გარანტიის განაღდება, სახეზე იქნება გარანტისა და პრინციპალის მიერ ვალდებულების ე.წ. ორმაგი შესრულება.[51] საბანკო გარანტიისაგან განსხვავებით თავდებობას ავტონომია არ გააჩნია. იგი ყოველთვის ძირითადი ვალდებულებითაა განპირობებული. აქედან გამომდინარე, თავდებობა მოქმედებს მოვალის მხოლოდ იმ ვალდებულებებზე, რომელიც უკვე აისახა თავდებობის ხელშეკრულებაში. ამიტომ თუ ძირითადი ვალდებულების მოვალე რაიმე გარიგებას დადებს თავდებობის აღების შემდეგ, ასეთი გარიგებით წარმოშობილ ურთიერთობებზე თავდებობა არ გავრცელდება და შესაბამისად, თავდების ვალდებულებაც არ გაიზრდება.[52]

თავდებობა შესაძლოა ეფუძნებოდეს სოლიდარულ პასუხისმგებლობას და ძირითადმა მოვალემ და თავდებმა თანაბრად აგონ პასუხი კრედიტორის წინაშე, მაშინ როცა მსგავსი შემთხვევა საბანკო გარანტიისათვის არ არის დამახასიათებელი და გარანტი დამოუკიდებლად აგებს პასუხს ბენეფიციარის წინაშე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით (888-ე და 898-ე მუხლები), გარანტისა და პრინციპალის ვალდებულება შემოიფარგლება ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის ფარგლებში. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ძირითადი ხელშეკრულება მეტ თანხას მოიცავს, არც ერთი მათგანი არ არის ვალდებული წინასწარ შეთანხმებულ თანხაზე მეტი გადაიხადოს.

რაც შეეხება ხელშეკრულების ვადას, ამ ნაწილშიც განსხვავდება ეს ორი ხელშეკრულება ერთმანეთისგან. თავდებობის შემთხვევაში ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც გარკვეული ვადით, ისე უვადოდ. უვადო თავდებობისას თავდები სამ თვიანი ვადის დაცვით წყვეტს ხელშეკრულებას (სსკ-ის 903-ე მუხლი). საბანკო გარანტიის დროს კი ხელშეკრულების ვადის გასვლამდე ხდება მოთხოვნის წარდგენა. წინააღმდეგ შემთხვევაში მოთხოვნას აღარ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი.

---

[51] გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2012, გვ. 233.

[52] შენგელია რ., ნინიძე თ., ხეცურიანი ჯ., ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი მეორე, თბილისი, გამომც. „სამართალი“, 2001, მუხლი 893, გვ. 230.

თავი III. საბანკო გარანტიის გაცემა და სამართლებრივი შედეგები

3.1. მოთხოვნის წარდგენის ფორმა და წესი

იმისათვის, რომ მოხდეს საბანკო გარანტიის ხელშეკრულების გარანტის მიერ აღებული ვალდებულების რეალიზება აუცილებელია, ბენეფიციარმა მას წარუდგინოს წერილობითი მოთხოვნა თანხის გადახდის შესახებ. მოთხოვნა გარანტს წარედგინება საბანკო გარანტიის გაცემის და ხელშეკრულებით განსაზღვრულ ადგილას. თუმცა, იქიდან გამომდინარე რომ დღევანდელ დროში ნაღდი ფულით ანგარიშსწორება ფაქტობრივად აღარ ხდება, აღნიშნული პირობა არ არის სავალდებულო და მხარე ვალდებულებას თანხის გადარიცხვით ასრულებს.

მოთხოვნაში ან მის დანართში ბენეფიციარმა უნდა მიუთითოს ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელიც საფუძვლად უდევს პრინციპალის მიერ ხელშეკრულების დარღვევას. ვალდებულების დარღვევა შეიძლება გამოიხატებოდეს როგორც ვალდებულების შეუსრულებლობით, ისე არაჯეროვანი შესრულებით. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 886-ე მუხლის საფუძველზე, გარანტი ვალდებულია პრინციპალს დაუყოვნებლივ აცნობოს ბენეფიციარის მიერ გაგზავნილი მოთხოვნის შესახებ და გაუგზავნოს როგორც მოთხოვნის ასლი, ისე ყველა საჭირო დოკუმენტი. მნიშვნელოვანია, რომ შეტყობინების ვალდებულება სამართალურთიერთობის თითოეულ მხარეს აქვს. დოკუმენტების განხილვის ვადად URDG N758 - ის მე-20 მუხლის მიხედვით, განსაზღვრულია 5 დღიანი ვადა. აღნიშნული ვადა იმპერატიულია და არ შეიძლება მხარეთა მიერ შეიცვალოს. სამოქალაქო კოდექსი კონკრეტულ ვადაზე არ უთითებს და განსახილველად გონივრულ ვადას აწესებს.

რაც შეეხება დოკუმენტაციის წარდგენის ფორმას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრულია ორი ფორმა. მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი მოთხოვნა გარანტიის ფარგლებში თანხის მოთხოვნის შესახებ წარდგენილ უნდა იქნეს წერილობით და თან ერთვოდეს საჭირო დოკუმენტები. მაგალითად, არქიტექტორის ან ინჟინერის სერთიფიკატი, სასამართლოს ან არბიტრაჟის გადაწყვეტილება. თუმცა, „მოთხოვმანდე გარანტიათა უნიფიცირებულ წესებში“ პირდაპირ არ არის

მითითებული იმის შესახებ, თუ რა ფორმით უნდა იქნეს გაცემული ვალდებულება, მაგრამ ამ წესების შესაბამისად ყველა ცვლილება და მიმოწერა, რომელიც შეეხება გარანტიას, უნდა განხორციელდეს წერილობით, ტელეგრაფით ან ტელექსით.[53]

ბენეფიციარის მიერ გარანტორისათვის ფულადი თანხის გადახდის შესახებ მოთხოვნის ალტერნატიულ ფორმად კანონის მიხედვით განსაზღვრულია ელექტრონული ფორმა. ამ შემთხვევაში საჭიროა ბენეფიციარსა და გარანტს შორის არსებობდეს შეთანხმება ელექტრონული დოკუმენტების ბრუნვის სისტემის გამოყენებით ფულადი თანხის გადახდის შესახებ მოთხოვნის მიღების თაობაზე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლის 1^1-ლი ნაწილი).

ბენეფიციარს შეუძლია მოთხოვნა წარადგინოს როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით.

აღსანიშნავია, რომ UNCITRAL 1995 წლიდან აღიარებს ელექტრონული ფორმატით გაცემულ დამოუკიდებელ გარანტიას. ასევე ყურადღებას უთმობს თაღლითობის და უფლების ბოროტად გამოყენების პრევენციულობას დამოუკიდებელი გარანტიების მიხედვით, რისთვისაც კონვენციით შემოღებულია გარანტიის მიხედვით გადახდის შეჩერება კონკრეტული საფუძვლით, გადახდაზე უარის თქმა და სასამართლოს მიერ გამოსაყენებელი დროებითი ღონისძიებები.[54]

როგორც საბანკო გარანტიის გაცემის, ისე გარანტიის მოთხოვნის შესახებ დოკუმენტაცია შედგენილ უნდა იქნეს იდენტურ ენებზე. რაც შეეხება მოთხოვნის წარდგენის ვადას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ბენეფიციარის მოთხოვნა უნდა წარედგინოს გარანტს გარანტიით განსაზღვრული იმ ვადის დამთავრებამდე, რა ვადითაც იგი გაიცა და მოითხოვოს საგარანტიო თანხის ანაზღაურება. ამასთანავე, მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია ბენეფიციარმა მოთხოვნაში ან მის დანართში დააფიქსიროს თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ

---

[53] ხოტენაშვილი პ., საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2015, გვ. 87-88, იხ. ციტირება: Uniform Rules for Contract Guarantees, ICC pub. 325, 1978, article 7.

[54] ჭიპაშვილი ნ., საბანკო გარანტია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო უნიციფირებული წესების მიხედვით, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, 2015, გვ. 62.

ვალდებულების დარღვევის ფაქტი. გარანტის რეგრესის უფლება პრინციპალის მიმართ საფუძვლიანი და სამართლიანი მაშინ ხდება, თუ ბენეფიციარი დასაბუთებულ განაცხადს ჩაწერს წერილობით მოთხოვნაში და ზუსტად მიუთითებს ვალდებულების დარღვევის ფაქტს, აღწერს გარემოებებს და ზედ დაურთავს იმ დოკუმენტს/მტკიცებულებას ვალდებულების დარღვევის შესახებ, რაც გარანტიით მოითხოვებოდა. ეს ბენეფიციარის ერთადერთი ვალდებულებაა საგარანტიო ურთიერთობაში, რომელიც კეთილსინდისიერად უნდა შეასრულოს.[55] გარანტის კეთილსინდისიერება გამოიტახება ბენეფიციარის მიერ წარდგენილი დოკუმენტების დეტალურ შესწავლაში. ბენეფიციარის მოთხოვნა თანხის ანაზღაურების შესახებ უნდა ეფუძვნებოდეს პრინციპალის მიერ ვალდებულების რეალურ დარღვევას.

იმისათვის, რომ გარანტმა თანხა აანაზღაუროს აუცილებელია სახეზე იყოს საბანკო გარანტიით ნაკისრი ვალდებულების შესრულების განმაპირობებელი ყველა წინამძღვარი. აღნიშნული წინაპირობებია: 1. საბანკო გარანტიის ხელშეკრულების არსებობა, რომლითაც ბანკი უზრუნველყოფდა ხელშეკრულების შესრულებას პრინციპალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში; 2. პრინციპალის მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევის ფაქტი, რაც საკმარისი საფუძველია საბანკო გარანტიის ამოქმედებისთვის; 3. საბანკო გარანტიით დადგენილ ვადაში ბენეფიციარის მოთხოვნის წარდგენა გარანტორისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ბენეფიციარის მოთხოვნები წარდგენილნი უნდა იქნეს იმ ვადაში, რომელიც არ შეიძლება აღდგენილ იქნეს და მისი გაშვება ვალდებულების შეწყვეტის საფუძველია.[56] ამრიგად, თუ ბენეფიციარის მოთხოვნა აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს - წარდგენილია გარანტიაში მითითებული დოკუმენტები, მითითებულია ის თუ რაში გამოიხატება პრინციპალის ძირითადი ვალდებულების დარღვევა, რომლის უზრუნველსაყოფადაც გაიცა გარანტია და დაცულია მოთხოვნის წარდგენის ვადა - მოთხოვნა წარდგენილია გარანტიით განსაზღვრული იმ ვადის დამთავრებამდე რა ვადითაც იგი გაიცა, გარანტს

[55] ჭიპაშვილი ნ., საბანკო გარანტია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო უნიციფირებული წესების მიხედვით, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, 2015, გვ. 147, იხ. URDG N758 - ის მე-15 მუხლი.

[56] ხოტენაშვილი პ., საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2015, გვ. 89.

წარმოეშობა ვალდებულება გადაუხადოს პრინციპალის კრედიტორს (ბენეფიციარს) ფულადი თანხა.[57]

საბანკო გარანტიით გარანტის ვალდებულება, როგორც უკვე აღვნიშნე, წინასწარ არის განსაზღვრული. თანხა შეიძლება მოიცავდეს როგორც პრინციპალის მიერ ნაკისრი ვალდებულების სრულ მოცულობას, ისე გარკვეულ ნაწილს. ქართული კანონმდებლობა არ იცნობს ბენეფიციარის მიერ თანხის ნაწილ-ნაწილ მოთხოვნას შესაბამისად, გარანტისთვის მოთხოვნის წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ და ისიც ხელშეკრულებით შეთანხმებული თანხის ფარგლებში. URDG N758 –ის მე-17 მუხლის მიხედვით, მხარეები შესაძლოა შეთანხმდნენ თანხის ნაწილ-ნაწილ მოთხოვნაზე. ამავე მუხლის "d" ქვეპუნქტის თანახმად, ბენეფიციარი უფლებამოსილია ერთხელ წარდგენილი მოთხოვნა ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში შეასწოროს და ხელახლა გაუგზავნოს გარანტს, ცხადია მოთხოვნის ვადის ამოწურვამდე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, გარანტმა უარი უნდა უთხრას ბენეფიციარს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ ეს მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამება გარანტიის პირობებს.

მოცემულ შემთხვევაში, ვფიქრობ, საჭიროა აღნიშნულ მუხლში ცვლილების შეტანა და ბენეფიციარისთვის ხარვეზის შესწორების უფლების მიცემა. საბანკო გარანტიის მნიშვნელობისა და მასშტაბიდან გამომდინარე მართალია ბენეფიციარს განსაკუთრებული დაკვირვება მართებს დოკუმენტების გაგზავნისას, რათა არ დაუშვას შეცდომა, მაგრამ მეორე მხრივ, მოთხოვნის ვადის ამოწურვამდე არ შეიძლება წაერთვას დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენის უფლება და ეს აქტი არ უნდა ჩაითვალოს მოთხოვნის ხელახალ წარგენად. აღნიშნულ უფლებას მხარეებს აძლევს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი შესაბამისად, ქართული კანონმდებლობისთვის უცხო და შეუსაბამო არ არის.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის მე-2 ნაწილიც შეიცავს ბუნდოვან ნიშნებს. კერძოდ, გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის და პრინციპალისათვის შეტყობინებების გაგზავნა თავისთავად საბანკო გარანტიით ნაკისრი ვალდებულებისაგან განთავისუფლების საფუძველს არ წარმოადგენს. მან ბენეფიციარის განმეორებითი მოთხოვნა მაინც უნდა დააკმაყოფილოს. ასეთ ვითარებაში შესაძლებელია ძირითადი ვალდებულება ორმაგად შესრულდეს -

[57] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე #2ბ/3689-13.

ჯერ ერთი პრინციპალის და მეორეც, გარანტის მიერ. ამიტომ უნდა მოხდეს ზედმეტი შესრულების დაბრუნება. თუ გარანტმა განმეორებითი მოთხოვნის შემდეგ ძირითადი ვალდებულების მოვალესთან ერთად შეასრულა ბენეფიციარის მოთხოვნა, მაშინ გარანტს შეუძლია ორივე შესრულების უკან დაბრუნება მოითხოვოს.[58] „შესრულებისას“ თავს იჩენს პრობლემა, თუ როგორ უნდა შეფასდეს სამართლებრივად ბენეფიციარის ქმედება მეორე მოთხოვნის შემთხვევაში, როგორც უსაფუძვლო გამდიდრება თუ როგორც უფლების ბოროტად გამოყენება? ასეთი შეფასება საქართველოს საერთო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების მიხედვით ჯერ-ჯერობით არ გაკეთებულა და ამ ნაწილში არც ქართული სასამართლო პრაქტიკა არსებობს დღეის მდგომარეობით.[59]

3.2. რეგრესი

ბენეფიციარის მიერ გარანტისთვის კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით წარდგენილი მოთხოვნა ამ უკანასკნელს აძლევს სამართლებრივ საფუძველს რეგრესის წესით მოითხოვოს თანხის ანაზღაურება პრინციპალისგან.

თუ თავისი არაკეთილსინდისიერი და დაუდევარი ქმედებით ბენეფიციარმა არ წარმოადგინა დამასაბუთებელი განცხადება, ეს ნიშნავს, რომ შესაძლოა წარმოიშვას უსაფუძვლო გამდიდრების საფრთხე, რაც ზრდის გარანტის რეპუტაციულ რისკს და პირდაპირ მოქმედებს ნდობის ხარისხზე.[60]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 890-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გარანტის უფლება, მოითხოვოს პრინციპალისგან რეგრესის წესით იმ თანხის გადახდა, რომელიც აუნაზღაურდა ბენეფიციარს საბანკო გარანტიით,

---

[58] შენგელია რ., ნინიძე თ., ხეცურიანი ჯ., ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი მეორე, თბილისი, გამომც. „სამართალი“, 2001, მუხლი 879, გვ. 224-225.

[59] ჭიპაშვილი ნ., საბანკო გარანტია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო უნიციფირებული წესების მიხედვით, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, 2015, გვ. 156.

[60] ჭიპაშვილი ნ., საბანკო გარანტია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო უნიციფირებული წესების მიხედვით, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, 2015, გვ. 147.

განისაზღვრება პრინციპალთან გარანტის იმ შეთანხმებით, რომლის შესასრულებლადაც გაიცა გარანტია. ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, გარანტს არ აქვს უფლება მოსთხოვოს პრინციპალს იმ თანხის გადახდა, რომელიც აუნაზღაურდა ბენეფიციარს გარანტიის პირობების საწინააღმდეგოდ ან ბენეფიციარის მიმართ გარანტის ვალდებულების დარღვევის გამო, თუ პრინციპალთან გარანტის შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

როგორც უკვე აღვნიშნე, რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველია გარანტსა და პრინციპალს შორის მიღწეული შეთანხმება, საბანკო გარანტიის გაცემის თაობაზე. თუ შეთანხმება რეგრესული წესით მოთხოვნის შესახებ არ არსებობს, მაშინ პრინციპალი თავისუფლდება ასეთი ვალდებულების შესრულებისგან. ამგვარად, პრინციპალის ვალდებულება - რეგრესის წესით გარანტს გადაუხადოს ამ უკანასკნელის მიერ ბენეფიციარისთვის უკვე გადახდილი თანხა, წარმოიშობა არა კანონის, არამედ გარანტსა და პრინციპალს შორის დადებული ხელშეკრულებით.[61]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის პირველი ნაწილის, 888-ე მუხლისა და 890-ე მუხლის ერთობლივი, სისტემური, ლოგიკური და შინაარსობრივი ასხნა-განმარტების შესაბამისად, შესაძლებელია დადგინდეს, რომ გარანტის მიერ ბენეფიციარის სასარგებლოდ გაცემული თანხა რეგრესის წესით პრინციპალისაგან ანაზღაურებას ექვემდებარება, თუ ბენეფიციარის მოთხოვნა თანხის გაცემის თაობაზე შეესაბამებოდა გარანტიის პირობებს, კერძოდ, იმ მიზნებსა და ამოცანებს, რისთვისაც საბანკო გარანტიის ხელშეკრულება დაიდო. ამ მიმართულებით საგულისხმოა, თავად გარანტის პასუხისმგებლობა, გონივრული წინდახედულობის ფარგლებში შეამოწმოს გაცემული თანხის მართლზომიერება და მისი შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიზნებთან.[62]

[61] შენგელია რ., ნინიძე თ., ხეცურიანი ჯ., ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი მეორე, თბილისი, გამომც. „სამართალი“, 2001, მუხლი 890, გვ. 227.

[62] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე #2ბ/3772-14.

3.3. თანხის ანაზღაურებაზე გარანტის უარის თქმის საფუძვლები

კანონი არა მარტო იმ შემთხვევებს განსაზღვრავს, როცა გარანტმა უარი უნდა უთხრას ბენეფიციარს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, არამედ იმასაც, თუ რა შემთხვევაში წყდება ბენეფიციარის მიმართ უკვე წარმოშობილი ვალდებულება.[63] გარანტის ვალდებულების შეწყვეტის საფუძვლებია: ბენეფიციარისათვის გარანტიით განსაზღვრული თანხის გადახდა; გარანტიაში განსაზღვრული იმ ვადის გასვლა, რომლითაც იგი გაიცა; და შემთხვევა, როცა ბენეფიციარი გარანტიის ვადის მიუხედავად, უარს ამბობს გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე და გარანტს პასუხისმგებობიდან ათავისუფლებს წერილობითი განცხადების საფუძველზე.[64] აღნიშნული საფუძვლებიდან ერთ-ერთის არსებობა წყვეტს გარანტის ვალდებულებას აანაზღაუროს თანხა. იმ შემთხვევაში თუ გამოვლინდა გარანტიის შეწყვეტის რომელიმე საფუძველი გარანტი ვალდებულია აღნიშნული ფაქტის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს პრინციპალს.

იმ შემთხვევაში თუ ბენეფიციარი მიიღებს კუთვნილ თანხას იგულისხმება, რომ ხელშეკრულების მიზანი მიღწეულია. შესაბამისად, გარანტის ვალდებულება წყდება. ეს წარმოადგენს გარანტისათვის იდეალურ შემთხვევას, რადგან იგი ფინანსური დანახარჯის გარეშე იღებს საგარანტიო ანაზღაურებას. მართალია, გარანტისთვის ვალდებულების გადახდით შესრულების შემთხვევაში რეგრესის წესით თანხის მოთხოვნის უფლება წარმოიშვება (თუ მხარეები შეთანხმდნენ და როგორც წესი, რეგრესზე ყოველთვის არის შეთანხმება, გარანტორი სხვანაირად არ გასცემს გარანტიას), მაგრამ მაინც არსებობს თუნდაც მცირე რისკი, რომ პრინციპალისგან ვერ მოხდეს თანხის ანაზღაურება.

საბანკო გარანტია წარმოადგენს წინასწარ მკაცრად განსაზღვრულ ვადიან ხელშეკრულებას. მხოლოდ ხელშეკრულების მოქმედების ვადის ფარგლებში აქვს ბენეფიციარს გარანტისთვის მოთხოვნის წარდგენის სამართლებრივი საფუძველი. ვადის ამოწურვის თანავე მოთხოვნის უფლება ქარწყლდება. შესაბამისად, გარანტისათვის დოკუმენტაციის წარდგენას აზრი ეკარგება. იმ

---

[63] შენგელია რ., ნინიძე თ., ხეცურიანი ჯ., ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი მეორე, თბილისი, გამომც. „სამართალი“, 2001, მუხლი 879, გვ. 226.

[64] Uniform Rules for Demand Guarantees, ICC pub. #458, article 23.

შემთხვევაში თუ ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ ბენეფიციარის მიერ წარდგენილ მოთხოვნას თანხის ანაზღაურების შესახებ გარანტი დააკმაყოფილებს, ვფიქრობ, ეს არ უნდა ჩაითვალოს ბენეფიციარის უსაფუძვლო გამდიდრებაში, რადგან გარანტს ვადის ამოწურვით წარმოეშობა უარის თქვის საფუძველი და ის თუ მაინც დააკმაყოფილებს მოთხოვნას ე.ი. ეს მისი კეთილი ნებაა და არ შეიძლება უკან იქნეს გამოთხოვილი. ასეთი შემთხვევა პრაქტიკაში თითქმის არარსებობს, რადგან გარანტორი თანხის გადარიცხვისას პირველ რიგში ხელშეკრულების მოქმედების ვადას ამოწმებს.

ბენეფიციარმა შესაძლოა თავად თქვას თავისი უფლების განხორციელებაზე უარი და გარანტიით კუთვნილი თანხა არ მიიღოს. ამისთვის მას კანონის მიხედვით წერილობითი განაცხადის გარანტისათვის წარდგენა სჭირდება. გარანტისთვის ბენეფიციარის მიერ წარდგენილი წერილობითი დოკუმენტი, რომლითაც უარს ამბობს თანხის გარანტისაგან მიღებაზე წარმოადგენს მტკიცებულებას გარანტისთვის. ამ დოკუმენტის მეშვეობით გარანტს შეუძლია უარი განაცხადოს თანხის ანაზღაურებაზე იმ შემთხვევაში თუ მოგვიანებით ბენეფიციარის გადაწყვეტს მისთვის მოთხოვნის წარდგენას და თანხის მიღებას.

თავი IV. დოკუმენტური აკრედიტივის ხელშეკრულება

4.1. ძირითადი ნაწილი

როგორც აღინიშნა, საბანკო გარანტიები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საგარეო ვაჭრობაში. ბანკების თანამონაწილეობით განხორციელებული ტრანზაქციები მნიშნველოვანი ნაწილია ბანკების ბიზნესისათვის. ვინმე თუ იკითხავს თუ რომელ ტრანზაქციას იყენებენ ევროპის ბანკები როგორც ფულის გადახდის, ისე მის უზრუნველსაყოფად საბანკო გარანტია და დოკუმენტური აკრედიტივი წინა პლანზეა.[65] საერთაშორისო ანგარიშსწორებისას აკრედიტივის ფორმით უშუალო გადამხდელის როლს კისრულობს უფლებამოსილი ბანკი, რაც კრედიტორისათვის ხელშეკრულებით შეთანხმებული საზღაურის მიღების

[65] E. Von Caemmerer, Bank Suretyships and bank Guarantees in Foreign Trade, p. 349.

დამატებით გარანტიას წარმოადგენს.[66] დოკუმენტური აკრედიტივი, როგორც ანგარიშსწორების ფორმა, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ქვეყნის შიგნით მოქმედ რეზიდენტ კომპანიებს შორის ანგარიშსწორებისას, ასევე საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში.[67]

დოკუმენტური აკრედიტივის გამოყენებით მხარეებს უადვილდებათ ხელშეკრულების დადება, რადგან რომელიმე მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის რისკი მინიმუმამდეა დაყვანილი. საქონლის ნასყიდობის შემთხვევაში მხარეები ქვეყნიდან ქვეყანაში ერთამენთს ტვირთს უზრუნველყოფის გარეშე აღარ უგზავნიან, რადგან მაღალია მოტყუების რისკი რომ მეორე მხარე ვალდებულებას არ შეასრულებს. სწორედ ამ ფაქტით არის განაპირობებული დოკუმენტური აკრედიტივის გამოყენებაზე მოთხოვნის ზრდა. ამავე დროს, მნიშვნელოვანია, რომ დოკუმენტური აკრედიტივის გამოყენებით ექსპორტიორი დროულად იღებს კუთვნილ ანაზღაურებას, ხოლო იმპორტიორს შესაძლებლობა აქვს ეტაპობრივად გადაიხადოს თანხა.

ტერმინი „დოკუმენტური ოპერაციები“ გამომდინარეობს მხარეთა შორის საანგარიშსწორებო ურთიერთობების შინაარსიდან - დოკუმენტური ოპერაციებით ანგარიშსწორების წარმოებისას ყველა დაინტერესებულ მხარეს საქმე აქვს მხოლოდ დოკუმენტებთან და არა უშუალოდ საქონელთან, მომსახურებასთან ან სხვა ვალდებულებებთან, რომელთაც ეს დოკუმენტები ეხება.[68] შესაბამისად, ბანკი არ ამოწმებს შეესაბამება თუ არა ნივთი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარისხს.

დოკუმენტური აკრედიტივის ისტორია სათავეს მე-12 საუკუნიდან იღებს. თავდაპირველად, იგი გახლდათ ორნაწილიანი შეთანხმება, სადაც შემლებული პირი ვაჭარს წარუდგენდა გადახდის შესახებ წერილობით დაპირებას, რომლის საფუძველზეც ვაჭარი კონკრეტულ პირის გადასცემდა საქონელს.[69] დღესდღეისობით საერთაშორისო ვაჭრობისას ნაღდი ფულით ანგარიშსწორება წარსულს ჩაბარდა და გამყიდველს (ასევე მყიდველსაც) აღარ სურს ფულის კუპიურებით დიდ მანძილზე გადაადგილება. შესაბამისად, დოკუმენტური

---

[66] ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2014, გვ. 280.

[67] გაბისონია ზ., დოკუმენტური აკრედიტივის ხელშეკრულების არსი, თემიდა სამეცნიერო - პრაქტიკული ჟურნალი, # 5(7), 2011, გვ. 12.

[68] კოვზანაძე ი., კონტრიძე გ., თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა, გამომც. „სეზანი“, თბილისი, 2014, გვ. 293.

[69] Christopher Leon, Letters of Credit: a Primer, 1986, p. 433.

აკრედიტივის ობიექტს წარმოადგენს გამყიდველისთვის საქონლის საფასურის გადახდის გარანტიის მიცემა.

აღსანიშნავია, რომ აკრედიტივი ლათინური წარმოშობის სიტყვაა (accredo) და ნიშნავს - „ვენდობი“.[70] აკრედიტივი არის ბანკის დაპირება მყიდველის სასარგებლოდ გამყიდველისთვის წინასწარ განსაზღვრული თანხის გადახდის შესახებ იმის გათვალისწინებით, რომ გამყიდველი წინასწარ დანიშნულ ვადაში წარმოადგენს საჭირო დოკუმენტაციას.

საბანკო გარანტიისაგან განსხვავებით დოკუმენტური აკრედიტივით ანგარიშსწორებაში უფრო მეტი პირია ჩართული. დოკუმენტური აკრედიტივის მხარეებს წარმოადგენენ: აპლიკანტი, იგივე მყიდველი - პირი, რომელიც ითხოვს კრედიტს. ცნობილია ასევე იმპორტიორის სახელით (შემდგომში იმპორტიორი); ემიტენტი ბანკი - აპლიკანტის დამხმარე ბანკი. სწორედ ბანკ ემიტენტს მიმართავს აპლიკანტი დოკუმენტური აკრედიტივის გახსნის მოთხოვნით; ბენეფიციარი, იგივე გამყიდველი. ცნობილია ექსპორტიორის სახელითაც (შემდგომში ექსპორტიორი); საავიზო ბანკი - ბენეფიციარის/ექსპორტიორის დამხმარე ბანკი. ვალდებულების შესასრულებლად ასევე აუცილებელია გადამზიდი კომპანიის ჩართულობაც.

თავდაპირველად ხელშეკრულება იდება იმპორტიორსა და ექსპორტიორს შორის. ამავე ხელშეკრულებაში უთითებენ დოკუმენტური აკრედიტივის საშუალებით ანგარიშსწორების შესახებ და აკონკრეტებენ ექსპორტიორის წარსადგენ დოკუმენტების ნუსხას.

ხელშეკრულების დადების ფორმა თავისთავად წერილობითია (მარტივი წერილობითი ფორმა). ყველა აკრედიტივში მკაცრად უნდა იყოს განსაზღვრული გადახდის ფორმა (ხორცილდება იგი განვადებით, ხდება გადახდა დოკუმენტების წარდგენისთავანავე, თუ ნეგოციაციით ან თამასუქის აქცეპტირბით).[71] შეთანხმებული ფორმა ფიქსირდება ხელშეკრულებაში და წარმოადგენს აკრედიტივის შემადგენელ ნაწილს.

UCP 500-ის შესაბამისად, ტერმინი „დოკუმენტური აკრედიტივი ნიშნავს ბანკსა და კლიენტს შორის არსებულ განსაზღვრული სახის შეთანხმებას. ამ შეთანხმების ძალით ბანკი ემიტენტი მოქმედებს თავისი კლიენტ -

[70] გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2012, გვ. 215.
[71] ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2014, გვ. 280.

იმპორტიორის (აკრედიტივის გახსნაზე დავალების მიმცემი) მითითებით და მის მიერ მიცემული ინსტრუქციების საფუძველზე ან საკუთარი სახელით, ვალდებულებას იღებს განახორციელოს გადახდა ბენეფიციარის სასარგებლოდ. აღსანიშნავია, რომ გადახდა ხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ ბენეფიციარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემდეგ.[72]

აკრედიტივით ანგარიშსწორების არსი იმაში მდგომარეობს, რომ გამყიდველი იღებს გადახდის მყარ გარანტიას, ხოლო მყიდველი ამის შედეგად იძენს საკუთრების უფლებას გავრცელებულ საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში. აკრედიტივი ამ დროს ატარებს არა მარტო ანგარიშსწორების ფორმის სახეს, არამედ საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალების ფუნქციასაც.[73]

4.2. დოკუმენტური აკრედიტივის ფუნქციები

აკრედიტივის ოთხი ძირითადი ფუნქცია გამოიყოფა. ა) იგი ამცირებს ექსპორტიორსა და იმპორტიორს შორის არსებული ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე საქონლის გადაცემის შემდგომ მყიდველის მიერ თანხის გადახდაზე უარის თქმის რიკს; ბ) უზრუნველყოფს იმპორტიორის ფულადი რესურსების აკუმულირებას, ხოლო ექსპორტიორს აძლევს საშუალებას მიიღოს თანხები, სანამ გამცემი ბანკი მოახდენს თანხის გადახდას; გ) ახდენს ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფას; დ) გამყიდველს უნარჩუნებს უფლებას იმპორტიორისგან მიიღოს თანხა ბანკის მიერ უარის თქმის შემთხვევაში.[74]

დოკუმენტურ აკრედიტივის მნიშვნელოვანი ფუნქციებია ასევე: გარანტია, გადახდის მექანიზმი, ფინანსური ინსტრუმენტი.

---

[72] ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2014, გვ. 281.

[73] შენგელია რ., ნინიძე თ., ხეცურიანი ჯ., ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი მეორე, გამომც. „სამართალი“, თბილისი, 2001, მუხლი 879, გვ. 210.

[74] ლიპარტია ნ., საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნის მართვა და სამართლებრივი შედეგები, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2018, გვ. 62. იხ. ციტირება: Alavi H, Documentary Letters of Credit, Legal Nature and Sources of Law, 2016, 103.

გარანტია

დოკუმენტური აკრედიტივი გარანტიის მაგივრობას სწევს. ეს ნიშნავს, რომ ერთი ან მეტი ბანკი, კრედიტის დადასტურების შემთხვევაში ახორციელებს დამოუკიდებელ თავდებობას. ბანკი იძლევა განსაზღვრული თანხის გადახდის პირობას, რომელიც ეფუძვნება წინასწარ შეთანხმებული დოკუმენტების წარმოდგენას და შესრულებას.

გადახდის მექანიზმი

დოკუმენტური აკრედიტივი ასევე აგვარებს ფულის მიმოქცევის საკითხს. ეს იმას ნიშნავს, რომ მყიდველი არ არის გადახდის ინიციატორი. აღნიშნული საკითხს აგვარებს დოკუმენტური აკრედიტივის ტრანსაქციის მონაწილე ბანკი. საბოლოო ჯამში, ბანკი ემიტენტი მყიდველის ანგარიშიდან მოხსნის შესაბამისი ოდენობის თანხას. დოკუმენტური აკრედიტივის საფუძველზე გადახდა აკმაყოფილებს ძირითად ტრანზაქციას.

ფინანსური ინსტრუმენტი

დოკუმენტური აკრედიტივი მჭიდროდ არის დაკავშრებული ფინანსებთან და მრავალნაირად შეიძლება მისი სტრუქტურის შეცვლა. ყველაზე ხშირად გამოყენებადი მეთოდია დოკუმენტური აკრედიტივის იმგვარად გამოყენება რომ მყიდველს შეეძლოს საჭირო დოკუმენტების მიღების შემდეგ გადახდის გადავადება, მაგალითად 90 დღით, მას შემდეგ რაც საქონელი გამოიგზავნება.[75]

4.3. დოკუმენტური აკრედიტივის ანგარიშსწორების ეტაპები

შეთანხმება აკრედიტივით ანგარიშსწორებაზე არის სასყიდლიანი. კლიენტი (აკრედიტივის დავალების მიმცემი) იხდის აკრედიტივით ანგარიშსწორების მომსახურების საფასურს. თუ აკრედიტივის ოპერაციაში მონაწილეობს რამდენიმე ბანკი, აკრედიტივის დავალების მიმცემს საბოლოოდ უწევს ყველა

[75] Sinberg k., UCP 600 Transport Documents, 2ndEd edition, 2015, p. 5.

ხარჯის ანაზღაურება. როგორც წესი, ასეთი ხარჯების გადახდა ხდება აკრედიტივის თანხიდან ფიქსირებული პროცენტის სახით.[76]

1. დოკუმენტური აკრედიტივის ანგარიშსწორების ეტაპები საკმაოდ ვრცელია. პირველ ეტაპზე, როგორც აღვნიშნე, ხელშეკრულება იდება იმპორტიორსა და ექსპორტიოს შორის. ხელშეკრულების სახე მრავალფეროვანია, თუმცა ყველაზე გავრცელებულია ნასყიდობა, მიწოდება და ა.შ. ამავე ხელშეკრულებით მხარეები თანხმდებიან ანგარიშსწორების ფორმად დოკუმენტური აკრედიტივის გამოყენებაზე. ამავდროულად მხარეები ზედმიწევნით განსაზღვრავენ იმ დოკუმენტების ნუსხას, რომლებიც ექსპორტიორმა უნდა წარადგინოს თანხის მისაღებად.

2. ხელშეკრულების დადების საფუძველზე იხსნება დოკუმენტური აკრედიტივის ანგარიში. იმპორტიორი ავალებს მის მომსახურე ემიტენტ ბანკს რომ ექსპორტიორის სასარგებლოდ გაუხსნას დოკუმენტური აკრედიტივის ანგარიში. მანამ სანამ, ბანკი ემიტენტი დათანხმდება იმპორტიორს ანგარიშის გახსნაზე ამოწმებს მის გადახდისუნარიანობას. იმისათვის, რომ გადახდისუნარიანობის შემოწმების პროცესი დროში არ გაიწელოს იმპორტიორი უპირატესობას ანიჭებს მიმართოს ისეთ ბანკს, რომელთანაც მას რაიმე სახის ფინანსური შეხება აქვს. ამავე ბანკში იმპორტიორის აქტივების არსებობის შემთხვევაში მოკლე დროში თანხმდება ბანკი ემიტენტი დოკუმენტური აკრედიტივის ანგარიშის გახსნაზე.

3. ბანკი ემიტენტი თანხმდება რა იმპორტიორის საკრედიტო რისკს, უგზავნის კორესპონდენციას ექსპორტიორის დამხმარე ბანკს ანუ საავიზო ბანკს და სთხოვს, რომ აღნიშნული ინფორმაცია მიაწოდოს ექსპორტიორს. მას შემდეგ, რაც საავიზო ბანკი მიიღებს თანხას, ატყობინებს ექსპორტიორს, რომ მის სასარგებლოდ გაიხსნა აკრედიტივი. საავიზო ბანკსა და ექსპორტიორს, როგორც წესი, ერთი და იგივე გეოგრაფიული მდებარეობა აქვთ.

საავიზო ბანკი შეტყობინებასთან ერთად ექსპორტიორს უგზავნის აკრედიტივის პირობებს.

---

[76] ზამბახიძე თ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 876, ველი 6, http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/09/Artikel-876.pdf 15.09.2016, იხ. ციტირება: ზამბახიძე თ., დოკუმენტური აკრედიტივი - საერთაშორისო ანგარიშსწორების პრიორიტეტული ფორმა, ქართული სამართლის მიმოხილვა, 5/2002-1, გვ. 92.

4. იმ შემთხვევაში თუ დოკუმენტაცია წესრიგშია, ექსპორტიორი გზავნის საქონელს გადამზიდავ კომპანიასთან. დოკუმენტალური მოთხოვნები დიდწილად დამოკიდებულია კონკრეტულ კომპანიასთან დაკავშირებულ რისკთან.

5. იმ შემთხვევაში თუ აკრედიტივის პირობები არ შეესაბამება მხარეთა შორის გაფორმებულ ძირითად ხელშეკრულებას, მაშინ ექსპორტიორი უკავშირდება იმპორტიორს და შენიშვნების მიღების შემთხვევაში ეს უკანასკნელი აპლიკანტი ბანკის მეშვეობით კორექტირებას უკეთებს აკრედიტივის პირობებს.[77]

6. სატრანსპორტო კომპანიის მიერ მიღებულ დოკუმენტაციას ექსპორტიორი უგზავნის საავიზო ბანკს.

7. საავიზო ბანკი ვალდებულია დეტალურად შეამოწმოს წარმოდგენილი სატრანსპორტო დოკუმენტები და თუ სწორეა საავიზო ბანკი მოითხოვს თანხას შემდეგი გზებით:

ა) დებეტში შეიტანს ემიტენტი ბანკის ანგარიშს;

ბ) დაელოდება სანამ ბანკი ემიტენტი გადარიცხავს ფულს, მას შემდეგ რაც მიიღებს დოკუმენტებს;

გ) სხვა ბანკს მოსთხოვს თანხის ანაზღაურებას.[78]

8. მიღებულ დოკუმენტაციას ემიტენტი ბანკი გადასცემს იმპორტიორს, რომელსაც ეს უკანასკნელი წარუდგენს სატრანსპორტო კომპანიას.

9. დოკუმენტების შესაბამისობის შემთხვევაში სატრანსპორტო კომპანია იმპორტიორს გადასცემს საქონელს და გახდება საქონლის მესაკუთრე.

---

[77] გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2012, გვ. 217.
[78] Understanding and Using Letters of Credit, Part 1, Procedures for Using the Tool https://www.crfonline.org/orc/cro/cro-9-1.html

4.4. დოკუმენტური აკრედიტივის სახეები

დოკუმენტური აკრედიტივის მისი რთული ბუნებიდან გამომდინარე რავალფეროვნებას საჭიროებს. კლასიფიკაცია ეფუძვნება უფლებებისა და ვალდებულებების მინიჭებას. ყურადსაღებია ორი ძირითადი კატეგორია: კომერციული დოკუმენტური აკრედიტივი და სარეზერვო დოკუმენტური აკრედიტივი.

კომერციული აკრედიტივი ყველაზე ხშირად გამოიყენება როგორც გადახდის მეთოდი საერთაშორისო ვაჭრობაში მაშინ, როცა სარეზერვო აკრედიტივი ფუნქციონირებს შესრულების გარანტიის მსგავსად. მიუხედავად იმისა, რომ კომერციულ აკრედიტივსა და სარეზერვო აკრედიტივს შორის ფუნქციური სხვაობაა, პრაქტიკაში რეგულირდება ერთი და იგივე წესებითა და რეგულაციებით.

ზემოაღნიშნულ კატეგორიზაციაზე დაყრდნობით კომერციული აკრედიტივი შეგვიძლია დავყოთ შემდეგ ქვეკატეგორიებად:[79]

4.4.1. გამოთხოვადი და გამოუთხოვადი აკრედიტივი (Irrevocable and Revocable Letters of Credit)

მოქმედი უნიფიცირებული წესები და ჩვეულებები განსხვავებით 1994 წლის რედაქციისგან (პუბლიკაცია 500) აღარ მიჯნავს გამოთხოვად და გამოუთხოვად აკრედიტივებს.[80] ICC Uniform Customs and Practice for Documentary Credits (შემდგომში UCP 600) -ის მეორე მუხლი განმარტავს აკრედიტს და აღნიშნავს, რომ აკრედიტივად ითვლება ნებისმიერი შეთანხმება, მიუხედავად მისი სახელისა და აღწერისა, რომელიც გამოუთხოვადია და ბანკ ემიტენტს ავალებს გარკვეული დავალებების შესრულებას.

---

[79] Hamed Alavi, Exceptions to the principle of independence in documentary letters of credits, Thesis for the degree of Doctor, Universitat Autonoma de Barcelona, Spain, faculty of law, 2018, p. 26-27.

[80] ზამბახიძე თ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 876, ველი 15, http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/09/Artikel-876.pdf 15.09.2016, იხ. ციტირება: ზამბახიძე თ., დოკუმენტური აკრედიტივი - საერთაშორისო ანგარიშსწორების პრიორიტეტული ფორმა, ქართული სამართლის მიმოხილვა, 5/2002-1, გვ. 82.

გამოუთხოვადობის საფუძვლით ბანკი ემიტენტი იძლევა გადახდის გარანტიას ისეთ შემთხვევაშიც, როცა მყიდველი შეცვლის თავის მოსაზრებას. ამდენად, გამყიდველი აკრედიტივის ყველა ვადის პირობის დაცვის შემთხვევაში ეყრდნობა ბანკ ემიტენტს და არა მყიდველის პატიოსნებას.[81]

გამოუთხოვადი დოკუმენტური აკრედიტივი ისეთი სახის აკრედიტივია, რომელიც არ შეიძლება შეიცვალოს ხელშეკრულების მხარეთა ნებართვის გარეშე. დღესდღეისობით, როგორც აღვნიშნე, ყველა აკრედიტივი გამოუთხოვადია, რადგან გამოთხოვადი აკრედიტივი მარტივად რომ ვთქვათ ვერ უზრუნველყოფს ისეთ დაცვას, როგორიც ბენეფიციარებს სურთ.

გამოუთხოვადი დოკუმენტური აკრედიტივი არის ოფიციალური ბანკის კორესპონდენცია გადაცემული და დამოწმებული მსოფლიო ბანკთაშორისი საფინანსო ტელეკომუნიკაციების საზოგადოების (Society for Worldwide Interbank Financial Telecommunications) საბანკო სისტემის მეშვეობით. ეს არის გლობალური რეგულირება ფინანსური ტრანსაქციის ხელშესაწყობად ბანკსა და სხვა ფინანსურ ინსტიტუტს შორის.[82]

გამოუთხოვადი აკრედიტივი ყველაზე ხშირად გამოიყენება საერთაშორისო ვაჭრობის ხელშესაწყობად, რადგანაც დამატებითი საკრედიტო რისკი არსებობს, როდესაც ორი ერთმანეთისთვის უცხო მხარე აწარმოებს ბიზნესს ნაციონალურ საზღვრებს გარეთ.

4.4.2. დადასტურებული და დაუდასტურებელი დოკუმენტური აკრედიტივი (Confirmed and Unconfirmed Letters of Credit)

დადასტურებული დოკუმენტური აკრედიტივი გულისხმობს გადახდის დამატებით გარანტიას არა ბანკი ემიტენტის, არამედ აკრედიტივის დამადასტურებელი ბანკის მხრიდან. კერძოდ, ბანკი ემიტენტის მხრიდან გადახდაზე უარის გაცხადების შემთხვევაში, ყველა სათანადო დოკუმენტის

[81] ზამბახიძე თ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 876, ველი 15, http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/09/Artikel-876.pdf 15.09.2016, იხ. ციტირება: ზამბახიძე თ., დოკუმენტური აკრედიტივი - საერთაშორისო ანგარიშსწორების პრიორიტეტული ფორმა, ქართული სამართლის მიმოხილვა, 5/2002-1, გვ. 84.

[82] Julia Kagan, Irrevocable Letter of Credit, updated 07.05.2019, https://www.investopedia.com/terms/i/iloc.asp

არსებობის შემთხვევაში, წარმოიშობა აკრედიტივის დამადასტურებელი ბანკის ვალდებულება ანგარიშსწორების განხორციელებაზე.[83]

მსესხებელს შეიძლება მოეთხოვოს დამატებითი გარანტიის წარდგენა თუ გამყიდველი გადაწყვეტს, რომ ბანკი ემიტენტის (თავდაპირველი გარანტი) გადახდისუნარიანობა ეჭქვეშ დგას. მეორე საგარანტია ამცირებს ვალდებულების შეუსრულებლობის რისკს.

ექსპორტიორი შესაძლოა არ ენდოს ბანკ ემიტენს, რადგან მისთვის უცნობი იყოს ეს ბანკი და არ იყოს დარწმუნებული საავიზო ბანკს თანხას გადაურიცხავს თუ არა, ამიტომ ისინი ხშირად ითხოვენ მათსავე ქვეყანაში კიდევ ერთი ბანკი დათანხმდეს თანხის გადახდაზე. იმ შემთხვევაში თუ პირველი ბანკი ემიტენტი თანხას რაიმე მიზეზით არ გადაიხდის დამადასტურებელი ბანკი გადაურიცხავს ექსპორტიორს. მოგვიანებით კი ცდის ბანკი ემიტეტისგან ფულის მიღებას.

თუ საუბარია მსხვილ გარიგებებზე, გამყიდველი (ექსპორტიორი) ითხოვს, რომ აკრედიტივი დაადასტუროს პირველი კლასის ბანკმა, რომელსაც აქვს კარგი ფინანსური რეპუტაცია და ცნობილია საქმიან წრეებში.[84]

აკრედიტივი მიიჩნევა დაუდასტურებლად თუ პირველი აკრედიტივი არ არის დადასტურებული მეორე გარანტორის მიერ ანუ ბანკი ემიტენტის მიერ თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში ალტერნატიული ბანკი არ გამოდის გარანტორის როლში.

4.4.3. გადახდის გადავადება (Deferred Payment Letter of Credit)

დოკუმენტური აკრედიტივის ამ სახის გამოყენებისას თანხის გადახდა არ ხდება დოკუმენტების მიღებისთანავე. შეთანხმების შემდეგ გარკვეული დრო გადის მანამ, სანამ გამყიდველი თანხას მიიღებს. აღნიშნული სახის გამოყენება მყიდველისთვის უფრო სარფიანია ვიდრე გამყიდველისთვის.

---

[83] ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2014, გვ. 284.

[84] ზამბახიძე თ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 876, ველი 16, http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/09/Artikel-876.pdf 15.09.2016.

4.4.4. აქცეპტირება (Sight Letter of Credit)

დოკუმენტური აკრედიტივის ამ სახეს ადგილი აქვს იმ შემთხვევაში როცა ბენეფიციარი მიიღებს საჭირო დოკუმენტაციას შესაბამისი ბანკისგან. ბანკს აქვს რამდენიმე დღე რომ განიხილოს დოკუმენტაცია და დაადგინოს მისი აკრედიტივის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობა. თუ დოკუმენტაცია წესრიგშია, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს თანხის გადახდა. აკრედიტივის ეს სახე ხელსაყრელია მხარეთა შორის ერთჯერადი გარიგების დროს, რომელიც არ ითვალისწინებს ხანგრძლივ თანამშრომლობას.[85]

4.4.5. განახლებადი და არაგანახლებადი დოკუმენტური აკრედიტივი (Revolving and Non Revolving Letters of Credit)

განახლებადი დოკუმენტური აკრედიტივის გამოყენება შეიძლება მრავალჯერადად. თუ გამყიდველი და მყიდველი შეთანხმდებიან გრძელვადიან სავაჭრო ურთიერთობაზე მათ შესაძლოა არ აწყობდეთ ყოველი ტრანსაქციის წინ ახალი დოკუმენტური აკრედიტვის გახსნა. აღნიშნული ტიპის აკრედიტივი საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნეს ერთი დოკუმენტური აკრედიტივი მრავალი ტრანსაქციისთვის, მანამ სანამ მოქმედების ვადა არ ამოიწურება. ვადაზე მხარეები წინასწარ თანხმდებიან.

4.4.6. ტრანსფერაბელური დოკუმენტური აკრედიტივი (Transferable Letter of Credit)

ტრანსფერაბელური აკრედიტივი ითვალისწინებს ამ აკრედიტივის გამოყენების შესაძლებლობას მთლიანად ან ნაწილობრივ ერთი ან რამდენიმე

[85] ზამბახიძე თ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 876, ველი 16, http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/09/Artikel-876.pdf 15.09.2016.

პირის მიერ, გარდა თავად ბენეფიციარისა. მათ ტრანსფერაბელური აკრედიტივის მეორე ბენეფიციარს უწოდებენ.[86]

ტრანსფერაბელური დოკუმენტური აკრედიტივი ხშირად გამოიყენება ბიზნეს ურთიერთობებში მომწოდებლის ან მწარმოებლისთვის გადახდის უზრუნველსაყოფად. ტრანსფერაბელური აკრედიტივი წარმოადგენს წინასწარი გადახდის აკრედიტივის ან დადასტურებული აკრედიტივის ალტერნატიულ ოპციას.

4.4.7. აკრედიტივი წითელი პირობით (Red Clause Letter of Credit)

აკრედიტივი წითელი პირობით შეიძლება იყოს ნებისმიერი ტიპის აკრედიტივი, რომელიც ითვალისწინებს შემსრულებელი ბანკის მიერ ექსპორტიორისათვის ავანსად გარკვეული თანხის გადახდას.[87] ამ ტიპის აკრედიტივი როგორც წესი გამოიყენება იმ ბენეფიციარების მიერ, რომლებიც სხვა ქვეყნის მყიდველებისთვის მოქმედებენ როგორც შესყიდვების აგენტები.

4.4.8. საკომპენსაციო დოკუმენტური აკრედიტივი (Back To Back Letters of Credit)

საკომპენსაციო დოკუმენტური აკრედიტივი შესაძლებლობას აძლებს შუამავლებს შეუერთდნენ მყიდველსა და გამყიდველს. გამოიყენება ორი დოკუმენტური აკრედიტივი, რის შედეგადაც თითოეული მხარე ინდივიდუალურად იღებს თანხას. შუამავალს თანხას უხდის მყიდველი, ხოლო მიმწოდებელს უხდის შუამავალი. საბოლოოდ, მყიდველი და შუამავალი იყენებენ დოკუმენტური აკრედიტივის მთავარ კონტრაქვს, ხოლო შუამავალი და მიმწოდებელი იყენებენ მთავარ კონტრაქტზე დაფუძვნებულ დოკუმენტურ აკრედიტივს.[88] აღნიშნული სახის დოკუმენტური კრედიტი რისკის შემცველია

[86] ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2014, გვ. 284.
[87] ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2014, გვ. 285.
[88] Back to BackLetters of Credit, https://www.thebalance.com/types-of-letters-of-credit-315040

ბენეფიციარისა და ბანკისთვის. ბანკები, როგორც წესი, არ ხსნიან ამ სახის კრედიტის თუ ბენეფიციარს არ აქვს მნიშვნელოვანი გამოცდილება ამ სფეროში.[89]

4.4.9. სარეზერვო აკრედიტივი (Standby Letter of Credit)

სარეზერვო აკრედიტივი, რომელსაც ზოგჯერ სუფთა აკრედიტივსაც უწოდებენ, წარმოადგენს აკრედიტივის სპეციალურ სახეს და თავისი შინაარსით საბანკო გარანტიას უტოლდება. ასეთი აკრედიტივის გამოყენების პრაქტიკა ჩამოყალიბდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, რადგანაც ბანკებს ამ ქვეყნის კანონმდებლობით ეკრძალებათ გარანტიის გაცემა.[90] აკრედიტივის ეს სახე განსხვავებულია. ის უზრუნველყოფს გადახდას იმ შემთხვევაში თუ აკრედიტივის გამხსნელი მხარე არ ასრულებს თანხის გადახდის ვალდებულებას.

თავი V. საბანკო გარანტიისა და დოკუმენტური აკრედიტივის რეგულირება

5.1. უნიფიცირებული ჩვეულებანი და პრაქტიკა დოკუმენტალური აკრედიტივისთვის #500

უნიფიცირებული ჩვეულებანი და პრაქტიკა დოკუმენტური აკრედიტივისთვის #500 -ს რეგულირების საგანს წარმოადგენს დოკუმენტური აკრედიტივი (The Uniform Customs and Practice for Documentary Credit. შემდგომში UCP). პირველად პუბლიკაცია საერთაშორისო სავაჭრო პალატამ (International Chamber of Commerse, შემდგომში ICC) მიიღო 1933 წელს პარიზში. აღნიშნული პუბლიკაციის გადახედვა და შესწორებების შეტანა ყოველ 10 წელში ერთხელ ხდებოდა. შესწორებები შევიდა შემდეგ წლებში: 1951, 1962, 1974, 1983,

[89] Hamed Alavi, Exceptions to the principle of independence in documentary letters of credits, Thesis for the degree of Doctor, Universitat Autonoma de Barcelona, Spain, faculty of law, 2018, p. 31.
[90] ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2014, გვ. 285.

1993. დღესდღეისობით მოქმედებს 1993 წელს შესწორებული გამოცემა, რომელიც 1994 წლის 1 იანვარს შევიდა ძალაში. პუბლიკაციას ადმინისტრირებას უწევს საერთაშორისო სავაჭრო პალატის საბანკო კომისია (Commission for Banking Practice of the ICC).

აღნიშნული პუბლიკაცია მიღებული აქვს მრავალი ქვეყნის ბანკს. მიღებაში იგულისხმება როგორც კოლექტიურად ქვეყნის საბანკო გაერთიანების მიერ აღნიშნული რეგულაციებს საბანკო სისტემაში განხორციელება, ისე ინდივიდუალურად კონკრეტური ქვეყნის ბანკის მიერ მისი დანერგვა. მაგალითად, ჩინეთს კოლექტიურად არ მიუღია აღნიშნული პუბლიკაცია. ICC-ის ანგარიშის მიხედვით, 1993 წლიდან ჩინეთის მხოლოდ 12 ბანკს აქვს მიღებული UCP 500. მიუხედავად ამისა, მიიჩნევა, რომ ჩინეთის საბანკო სისტემა იყენებს აღნიშნულ პუბლიკაციას.[91]

მოგვიანებით, საერთაშორისო საბანკო პრაქტიკის განვითარების გათვალისწინებით დოკუმენტში შევიდა ცვლილება, რამაც გაამარტივა წესები.

5.2. უნიფიცირებული ჩვეულებანი და პრაქტიკა დოკუმენტალური აკრედიტივისთვის #600

დოკუმენტალური აკრედიტივების მოქმედი უნიფიცირებული წესებისათვის (UCP 500, 1993 წ. რედაქცია) გადახედვის მიზნით 2003 წელს საერთაშორისო სავაჭრო პალატის საბანკო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება შეექმნა ცვლილებებზე მომუშავე სარედქციო ჯგუფი. ჯგუფი შედგებოდა 9 სპეციალისტისგან, რომლებიც მოიწვიეს ჩრდილოეთ ამერიკიდან, ევროპიდან და აზიიდან. მოწვეული სპეციალისტები არ წარმოადგენდნენ საკუთარ ქვეყნებს, არამედ შეარჩიეს საერთაშორისო სავაჭრო პალატის საქმიანობაში ჩართული აქტიური წევრებისგან, რომლებიც გამოირჩეოდნენ არა მარტო უნიფიცირებული წესების კარგი ცოდნითა და მათი გამოყენების გამოცდილებით, არამედ პრობლემების არასტანდარტული ხედვით.[92]

---

[91] Gunther Sattelhak, German Banking Law and Practice in International Perspective, ed. By Horn, Norbert, 2011, p. 167.

[92] ხოტენაშვილი პ., საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2015, გვ. 105-106.

ამრიგად, 2006 წლის 25 ოქტომბერს საერთაშორისო სავაჭრო პალატის საბანკო კომისიამ მიიღო უნიფიცირებული ჩვეულებანი და პრაქტიკა დოკუმენტალური აკრედიტივისთვის #600 (UCP 600 ანდა ICC Publication No. 600). წესები ძალაში შევიდა 2007 წლის 1 ივლისს.

UCP 600 წარმოადგენს რეგულირების უახლეს ვერსიას, რომლის საფუძველზეც მსოფლიო მასშტაბით ხორციელდება დოკუმენტური აკრედიტივით ტრანსაქცია.[93]

5.3. განსხვავება UCP 500-სა და UCP 600-ს შორის

UCP 500-სა და UCP 600-ს შორის არსებობს არაერთი მნიშვნელოვანი განსხვავება. ძირითადი განსხვავება შემდეგში მდგომარეობს:

- მუხლების რაოდენობა 49-დან 39-მდე შემცირდა. სტრუქტურულმა ცვლილებამ გაამარტივა ტექსტის ინტერპრეტირება და გააზრება.

- UCP 500-ის მიხედვით, მხარეები აკრედიტივის ხელშეკრულებით თანხმდებიან, რომ ზემოაღნიშნული პუბლიკაცია ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილია. ცვლილების შემდეგ UCP 600-ის რეგულაცია მოქმედებს ყველა დოკუმენტური აკრედიტივის ხელშეკრლებაზე.[94]

- იმისათვის, რომ მარტივად მივხვდეთ რას ნიშნავს კანონში გამოყენებული სტანდარტული ტერმინი UCP 600-ს დაემატა ორი ახალი მუხლი. ეს ორი ახლად დამატებული მუხლებია: მუხლი მეორე - დეფინიცია და მუხლი მესამე - ინტერპრეტაცია. ამ მუხლებმა კანონს მეტი სიცხადე შემატეს.

- ნეგოციაცია განსხვავებულად აღინიშნება და დოკუმენტების დრაფტში გულისხმობს შესყიდვას.

- დოკუმენტების მიღების ან მიღებაზე უარის თქმისათვის განსაზღვრული გონივრული ვადა შეიცვალა და დადგინდა 5 საბანკო დღე.

---

[93] https://www.letterofcredit.biz/index.php/2018/10/19/ucp-600/

[94] Rodrigo T., UCP 500 To 600: A Forward Movement, eLaw Journal: Murdoch University Electronic Journal of Law 18(2), 2011, Griffit University, Queensland, Australia, p. 3. https://research-repository.griffith.edu.au/bitstream/handle/10072/48300/80083_1.pdf?sequence=1

უნდა აღინიშნოს, რომ დოკუმენტური აკრედიტივის მიმართ მოქმედი წესები არის საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ კომერციული ურთიერთობების სტანდარტიზაციის ერთ-ერთი წარმატებული მცდელობის შედეგი. უნიფიცირებული წესები სავალდებულო ხასიათის არ არის. მხარეებს უფლება აქვთ აკრედიტივთან დაკავშირებული ურთიერთობები მოაწესრიგონ ამ წესებით.[95]

5.4. მოთხოვნამდე გარანტიათა უნიფიცირებული წესები N458 და N758

საბანკო გარანტიის რეგულირებისას აქტიურად გამოიყენება საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ შემუშავებული პუბლიკაციები (Uniform Rules for Demand Guarantees (URDG) N458 და N758).

ზემოაღნიშნულ პუბლიკაციებამდე საერთაშორისო სავაჭრო პალატამ 1978 წლის აგვისტოში შეიმუშავა „უნიციფირებული წესები სახელშეკრულებო გარანტიებისათვის“ პუბლიკაცია N325 (Uniform Rules for Contract Guarantee (URCG)). URCG-ს შექმნის მიზანი ხელშეკრულების მხარეთა შორის ბალანსის შექმნა და მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების განმარტება იყო, რათა აცილებული ყოფილიყო მხარეთა შორის დავები და მათ მოეხდინათ სახელშეკრულებო ურთიერთობაში გამოყენებულ გარანტიათა რეგულირების წესების განსაზღვრა.[96] აღნიშნული პუბლიკაცია წარუმატებელი აღმოჩნდა, რადგან საერთაშორისო ბიზნესის წარმომადგენლებმა არ მიიღეს გარკვეული მიზეზების გამო.

სახელშეკრულებო გარანტიათა უნიფიცირებული წესების არაპოპულარობის გამო საერთაშორისო სავაჭრო პალატის სამუშაო ჯგუფმა დაიწყო მუშაობა მოთხოვნამდე გარანტიათა რეგულირების წესების

[95] ლიპარტია ნ., საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნის მართვა და სამართლებრივი შედეგები, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2018, გვ. 58.

[96] ლიპარტია ნ., საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნის მართვა და სამართლებრივი შედეგები, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2018, გვ. 26, იხ. ციტირება: Kelly – Louw M., Selective legal Aspects of Bank Guarantee, 2008, 47.

შემუშავებასთან დაკავშირებით. ძირითადი სირთულე იყო მოეხდინათ იმგვარი წესების შექმნა, რომლებიც დააბალანსებდა, ერთი მხრივ, ბანკების, ექსპორტიორების და ინდუსტრიული ქვეყნების, ხოლო მეორე მხრივ, პრინციპალის, იმპორტიორების ან განვითარებადი ქვეყნების ინტერესებს.[97]

მოგვიანებით, 1991 წლის 3 დეკემბერს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის საბანკო კომისიამ შეიმუშავა პუბლიკაცია N458. აღნიშნული დოკუმენტი გახლდათ პირველი, რომელმაც მხარი დაუჭირა მოთხოვნამდე გარანტიებს. გამოცემის მიზანი გახლდათ განსაზღვრულიყო პრინციპალის, ბენეფიციარის და გარანტორის ვალდებულებები მოთხოვნამდე გარანტიის გამოყენებისას. იგი შედგებოდა 28 მუხლისგან და არეგულირებდა ფულადი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის საკითხს ხელშეკრულების მხარეთა შორს. განსაზღვრავდა მოთხოვნის სამართლებრივ ბუნებას, ვადის ამოწურვის პირობებს და გარანტიისთვის ადგენდა სამართლის იურისდიქციას.[98] თუმცა, დირექტივით გათვალისწინებული მოთხოვნის წარდგენის ცალკეული წესები მნიშვნელოვნად ართულებდა ბენეციფიარის მხრიდან მოთხოვნის განხორციელებას. შესაბამისად, აღნიშნულმა დირექტივამაც პრაქტიკაში ფეხი ვერ მოიკიდა.[99]

უნიფიცირებული წესების შესაბამისად, გარანტიას არა აქვს კანონის ძალა. იგი სახელშეკრულებო ბუნებისაა. წესების პირველი მუხლი განსაზღვრავს, რომ წესები გამოიყენება იმ შემთხვევაში თუ გარანტია არის მისი ქვემდებარე. შესაბამისად, გარანტიაში უნდა იქნეს მითითებული უნიფიცირებული წესების შესახებ. გარანტიაში მონაწილე მხარეთა ავტონომიურობის პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევაში თუკი ხდება მათი გამოყენება გარანტიის მიმართ, მხარეებს რჩებათ უფლება გამორიცხონ ან შეცვალონ წესების ესა თუ ის ნაწილი შეთანხმების საფუძველზე, თუმცა დაუშვებელია წესების პრინციპული (არსებითი) ცვლილება.[100]

2009 წლის 24 ნოემბერს საერთაშორისო სავაჭრო პალატამ შეიმუშავა ახალი პუბლიკაცია N758, რომელიც ძალაში 2010 წლის 1 ივლისს შევიდა. ერთ-ერთი

---

[97] იხ. იქვე.

[98] http://www.itsprofessional.in/sample-page/guide-of-bank-guarantees-in-business/?i=1

[99] ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2014, გვ. 572, იხ. ციტირება: Eisele, Bank – und Kapitalmarktrecht, S 143.

[100] ლიპარტია ნ., საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნის მართვა და სამართლებრივი შედეგები, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2018, გვ. 28-29.

მთავარი მიზანი ამგვარი რევიზიისა იმაში მდგომარეობს, რომ საბანკო გარანტიის წესები აკრედიტივის წესებს გაუთანაბროს. გარდა ამისა, გათვალისწინებულ იქნა ის პრაქტიკული გამოცდილება, რაც URDG N 458 მოქმედების განმავლობაში დაგროვდა.[101] ძირითადი ცვლილებების მიხედვით შემუშავდა ახალი დეფინიციები და ინტერპრეტაციები, რომელთაც გაამარტივეს კანონის სწორად გაგების საკითხი.

უნიციფირებული წესები რამდენიმე არსებითი ხასიათის ცვლილებასაც ითვალისწინებს. კერძოდ, წესების მეორე მუხლი ეთმობა ტერმინთა განმარტებას, რაც URDG N458 პუბლიკაციაში ამგვარად არ იყო სისტემატიზირებული. ამასთან, პრინციპალის ნაცვლად გამოიყენება ტერმინი „აპლიკანტი“ და „ინსტრუქტორი მხარე.“ წესებში არის განსაზღვრული საგარანტიო შემთხვევის რეგულირებისა და ბენეციფიარის მიერ თანხის გადახდის ვადა. ამ პუბლიკაციაში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული გარანტიის დოკუმენტური ხასიათი და მისი სამართლებრივი შედეგები. URDG N758 უფრო მკაცრია მოთხოვნის რეგულირების პროცედურისა და შედეგის მიმართ, ვიდრე მისი წინამორბედი.[102]

თავი VI. საბანკო გარანტიისა და დოკუმენტური აკრედიტივის შედარება

6.1. მათ შორის მსგავსება და განსხვავება

საბანკო გარანტიასა და დოკუმენტურ აკრედიტივს ორივეს აქვთ საერთო განზრახვა და მიზანი - მინიმუმამდე დაიყვანონ ფინანსური რისკი. ორივე ხელშეკრულება იძლევა იმის პირობას, რომ ფინანსური ინსტიტუტების საშუალებით მსესხებელი გაისტუმრებს ვალს მიუხედავად მისი ფინანსური მდგომარეობისა. ზემოაღნიშნული ხელშეკრულებები ამცირებს რისკის ფაქტორს

[101] ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2014, გვ. 572.

[102] ლიპარტია ნ., საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნის მართვა და სამართლებრივი შედეგები, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2018, გვ. 30.

და მხარეებს უბიძგებს ტრანზაქციის განხორციელებისკენ. მიუხედავად მსგავსებისა აღნიშნულ ხელშეკრულებებს შორის მცირედი სხვაობა მაინც არის, ძირითადად, მოქმედებისა და სიტუაციის მიხედვით.

დოკუმენტური აკრედიტივი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო ვაჭრობაში. აღნიშნული ფაქტი განაპირობებს მხარეებს შორის მანძილის არსებობას, ბიზნესში ჩართული ქვეყნების განსხვავებულ კანონმდებლობასა და მხარეებს შორის პირადი კომუნიკაციის სირთულეს. მსხვილი ფინანსური გარიგებები ხშირად ისე იდება, რომ მხარეები პირადად საერთოდ ვერ ნახულობენ ერთმანეთს.

დოკუმენტური კრედიტივი ძირითადად გამოიყენება გლობალურ ტრანზაქციებში (ექსპორტის და იმპორტის დროს) მაშინ, როცა საბანკო გარანტია უმეტესად უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ კონტრაქტებსა და ინფრასტრუქტურულ პროექტებში გამოიყენება (ძირითადად სახელმწიფოს მიერ დადებულ კონტრაქტებში).[103] უნდა აღინიშნოს, რომ საბანკო გარანტიის სამოქმედო არეალი, ბაზარი გაცილებით დიდია დოკუმენტურ აკრედიტივზე.

დოკუმენტური აკრედიტივისაგან განსხვავებით, რომელიც გადახდის საშუალებას წარმოადგენს, საბანკო გარანტიის დანიშნულება უსაფრთხოებაა. ის უზრუნველყოფს ფინანსურ კომპენსაციას დებიტორის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობისას.[104] შესაბამისად, საბანკო გარანტია წარმოადგენს უფრო მეტ მნიშვნელოვან სახელშეკრულებო ვალდებულებას ბანკისათვის, ვიდრე დოკუმენტური აკრედიტივი.

საბანკო გარანტია დოკუმენტური აკრედიტივის მსგავსად ბენეფიციარისთვის გადასახდელ კონკრეტულ თანხაზე გასცემს გარანტიას. თუმცა, დოკუმენტური აკრედიტივისგან განსხვავებით თანხას იხდის მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მოწინააღმდეგე მხარე არ შეასრულებს გარანტიით გათვალისწინებულ ვალდებულებას. დოკუმენტური აკრედიტივის შემთხვევაში კი, აპლიკანტის მიერ თანხა უკვე ემიტენტი ბანკის ანგარიშზეა გადარიცხული

[103] https://www.investopedia.com/

[104] ხოტენაშვილი პ., საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2015, გვ. 24, იხ. ციტირება: Bertrams R., Bank Guarantees in International Trade, Hugue, Kluwer Law International 1996 (second edition), p. 2.

და ბანკს მხოლოდ დოკუმენტების შემოწმება და გადარიცხვის დადასტურება ევალება.

სწორედ ამიტომ დოკუმენტური აკრედიტივი საბანკო გარანტიისაგან განსხვავებით არ წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას კლასიკური გაგებით. აკრედიტივის თანახმად, ბანკი იღებს ვალდებულებას განსაზღვრული დოკუმენტების წარდგენის შემთხვევაში მოვალის ნაცვლად გადაუხადოს კრედიტორს.[105] გარანტიის გამოყენების ზოგადი საფუძველია: არ არსებობს მოთხოვნა, ვალდებულების დარღვევის გარეშე.[106]

აკრედიტივის შემთხვევაში აპლიკანტის ბანკი ფულს მხოლოდ მაშინ რიცხავს, როცა ბენეფიციარი სრულად შეასრულებს ვალდებულებას. საბანკო გარანტიის დროს კი გარანტს ვალდებულება წარმოეშობა პრინციპალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

დოკუმენტური აკრედიტივი უზრუნველყოფს შეთანხმებული ტრანზაქციის შემდგომ განვითარებას, ხოლო საბანკო გარანტია ამცირებს დანაკარგს ტრანზაქციის წარუმატებლობის შემთხვევაში.

დოკუმენტური აკრედიტივი წარმოადგენს ფინანსური ინსტიტუტის მიერ მყიდველის სასარგებლოდ გაცემულ დაპირებას რომ მისი ვალდებულება შესრულდება და მყიდველის მიერ შემდგომში გადახდაზე უარის თქმის რისკი ფაქტობრივად აღარ არსებობს.

ამ ორ ინსტიტუტს საერთო აქვთ ის, რომ ორივე შემთხვევაში ხელშეკრულების დადებამდე ბანკის მიერ მოწმდება პრინციპალისა და აპლიკანტის გადახდისუნარიანობის საკითხი. კერძოდ, მოწმდება ფინანსური კეთილდღეობა, საკრედიტო მაჩვენებელი და ისტორია. მხოლოდ დადებითი პასუხის შემთხვევაში თანხმდება ბანკი აღნიშნული მომსახურების გაწევაზე. როგორც აღვნიშნე, საბანკო მომსახურება სასყიდლიანია და მხარეებს არც თუ

---

[105] ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, გამომც. „სამართალი“, თბილისი, 2013, გვ. 210, იხ. ციტირება: Welter in Munchener kommentar zum Handelsgesetzbuch, J. Bankgarantie, J 18.

[106] ლიპარტია ნ., საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნის მართვა და სამართლებრივი შედეგები, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2018, გვ. 65, იხ. ციტირება: Miss L., Letters of Credit: Injunctions as a Remedy for Fraud in UCCm, sec. 5-114, 1979, 495.

ისე მცირე თანხის გადახდა უწევთ უზრუნველსაყოფი ღონისძიების გამოსაყენებლად.

ორივე ინსტიტუტს გააჩნია დოკუმენტური ბუნება - ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას დოკუმენტაციით განსაზღვრულ ვადაში და პირობებთან შესაბამისი მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში, დამატებითი გარე ფაქტებისა და მოვლენების გარეშე. ორივე შემთხვევაში ბანკი ახდენს ვალდებულების შესრულებას წარდგენილი დოკუმენტაციის გონივრული შესწავლის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არ არსებობს ბენეფიციარის არამართლზომიერი მოქმედება.[107]

ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის წარმოშობის მიხედვით საბანკო გარანტიასა და დოკუმენტრ აკრედიტივს შორის განსხვავებაა. დოკუმენტური აკრედიტივის შემთხვევაში თანხის გადახდის ვალდებულება ბანკს თავიდანვე წარმოეშობა. რაც შეეხება საბანკო გარანტია, გარანტის ვალდებულება ე.წ. მეორადი ვალდებულებაა. კერძოდ, წარმოიშობა მხოლოდ მას შემდეგ, რაც პრინციპალი არ შეასრულებს თავის ვალდებულებას.

როგორც საბანკო გარანტიას, ისე დოკუმენტურ აკრედიტივს ახასიათებს დამოუკიდებელი ბუნება. UCP N600-ით გათვალისწინებულია აკრედიტივის დამოუკიდებლობის პრინციპი. კერძოდ, მე-4 მუხლის მიხედვით, „თავისი ბუნებით აკრედიტივი დამოუკიდებელია ნასყიდობის ან ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებისაგან. ბანკს არა აქვს კავშირი ამ ხელშეკრულებასთან მაშინაც კი, როცა თავად აკრედიტივი შეიცავს მითითებას ამ კონტრაქტზე“.[108]

დოკუმენტური აკრედიტივი საბანკო გარანტიასთან შედარებით ხელშეკრულების მხარეთა სიმრავლით გამოირჩევა. იქიდან გამომდინარე, რომ ძირითადად საერთაშორისო ვაჭრობაში გამოიყენება, ცხადია აღნიშნული ფაქტი

[107] ლიპარტია ნ., საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნის მართვა და სამართლებრივი შედეგები, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2018, გვ. 66, იხ. ციტირება: Goode R., Abistract payment Undertakings in international Transactions, Brooklyn Journal of International law 1, 1996, 4.

[108] ლიპარტია ნ., საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნის მართვა და სამართლებრივი შედეგები, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2018, გვ. 65, იხ. ციტირება: ზამბახიძე თ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 876, ველი 4, http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/09/Artikel-876.pdf 15.09.2016

სავსებით ბუნებრივია. დოკუმენტური აკრედიტივის ხელშეკრულების განხორციელებაში მინიმუმ ხუთი პირია ჩართული (როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული). ესენია: აპლიკანტი, ბანკი ემიტენტი, ბენეფიციარი, საავიზო ბანკი, გადამზიდი კომპანია. პირთა წრე ხელშეკრულების სპეციფიკის მიხედვით შესაძლოა კიდევ გაიზარდოს. რაც შეეხება საბანკო გარანტიას, მისი მიზნების განხორციელებისთვის სამი პირი სრულიად საკმარისია (პრინციპალი, ბენეფიციარი, გარანტი).

იქიდან გამომდინარე, რომ დოკუმენტური აკრედიტივით ანგარიშსწორების განხორციელებას მინიმუმ ხუთი პირი სჭირდება, მისი ფაზებიც მრავალრიცხოვანია. როგორც უკვე განვიხილე, საკმაო რაოდენობის ეტაპების გავლაა საჭირო სანამ ვალდებულება შესრულდება, რაც თავისთავად მეტ დროს მოითხოვს. შესაბამისად, დოკუმენტური აკრედიტივით სარგებლობა უფრო ძვირი ჯდება საბანკო გარანტიასთან შედარებით. ეს უკანასკნელი დროის ეკონომიის მხრივაც ძალიან მომგებიანია.

6.2. რისკები

ისევე როგორც ყველაფერს სამყაროში საბანკო გარანტიასა და დოკუმენტურ აკრედიტივსაც გააჩნიათ დადებითი და უარყოფითი მხარეები. უარყოფითი მხარეები დაკავშირებულია მთელ რიგ რისკებთან, რომელთაც სერიოზული ზიანის მიყენება შეუძლიათ მონაწილი მხარესათვის. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

6.2.1. საბანკო გარანტიის დადებითი მხარეები

საბანკო გარანტიის უმთავრეს დადებით მხარეს წარმოადგენს ფინანსური რისკის შემცირების შესაძლებლობა. საბანკო გარანტიის საჭიროება წარმოიშვა მყიდველების მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობის გახშირების შედეგად. ამის გამო გამყიდველები უცნობ პირებს საქონელს მანამ არ გადასცემდნენ სანამ თანხას არ მიიღბდნენ. საბანკო გარანტიამ სწორედ ეს პრობლემა გადაჭრა. გამყიდველი ანუ ბენეფიციარი უკვე უპრობლემოდ გასცემს ნივთს საბანკო გარანტიის არსებობის პირობებში.

მეორე დადებით მხარეს წარმოადგენს შესაძებლობების გაზრდა. საბანკო გარანტიის მეშვეობით მხარეს ისეთი საბაზრო არეალი ეხსნება, რაც აქამდე მისთვის მიუწვდომელი იყო. გყავდეს რა ბანკი პარტნიორად ყოველთვის ხელშეუვალი სიძლიერეა და მომავალი ბიზნესის წარმატების რწმენას წარმოადგენს.

საბანკო გარანტიის გადასახადიც არც ისე მაღალია. როგორც წესი, 0.5 % - 1%-ს შეადგენს. მისი გადახდის ვალდებულება პრინციპალს აკისრია.

ერთ-ერთ პლიუსად შეიძლება ისიც მივიჩნიოთ, რომ საბანკო გარანტიის დროს არც ერთ მხარეს თანხის წინასწარ გადახდა არ უწევს.

დოკუმენტურ აკრედიტივთან შედარებით საბანკო გარანტიის ხელშეკრულების გაფორმებისა და მიზნის მისაღწევად გაცილებით ნაკლები დოკუმენტია საჭირო.

6.2.2. საბანკო გარანტიის უარყოფითი მხარეები

საბანკო გარანტიის უარყოფით მხარეს წარმოადგენს ბანკის მიერ მკაცრად განსაზღვრული პირობები. საბანკო გარანტიის ხელშეკრულების გაფორმებამდე ბანკი მკაცრად ამოწმებს პრინციპალის გადახდისუნარიანობის საკითხსა და ფინანსურ კეთილდღეობას. ბანკი ახდენს პრინციპალის დეტალურ ფინანსურ ანალიზს და მხოლოდ ამის შემდეგ თანხმდება გარანტიის გაცემაზე. ზოგჯერ ეს პროცესი იმდენად რთულია, რომ საბოლოო ჯამში მივყავართ გარანტიაზე უარის თქმამდე.

საბანკო გარანტიის ნაკლს წარმოადგენს აგრეთვე ის, რომ არ არის გათვლილი ე.წ. loss-making ბიზნესზე.[109] ასეთი ბიზნესის წარმომადგენლები, როგორც წესი, ერიდებიან საბანკო გარანტიის ხელშეკრულების დადებას, რადგან არამომგებიანია.

არის შემთხვევები, როდესაც მხარე არ თანხმდება მხოლოდ ერთი ფინანსური ორგანიზაციის მიერ გაცემულ გარანტიას და საჭირო ხდება დამატებითი უზრუნველყოფის საშუალების გამოყენება. ასეთ შემთხვევაში

[109] ბიზნესი, რომელიც ორიენტირებული არ არის მოგებაზე.

საბანკო გარანტიის გამოყენება პრინციპალისთვის ფინანსურად წამგებიანია, რადგან დამატებითი ხარჯის გაწევა უწევს.

6.3. დოკუმენტური აკრედიტივის დადებითი და უარყოფითი მხარეები

ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, დოკუმენტური აკრედიტივი ყოველ წლიურად 100 ბილიონ აშშ დოლარზე მეტ საბანკო ვალდებულებას წარმოადგენს. საქონლით ვაჭრობის სულ მცირე 60% იწარმოება დოკუმენტური აკრედიტივის მეშვეობით.[110]

დოკუმეტური აკრედიტივი აბალანსებს გადახდის მეთოდის საშუალებით ორივე მხარის, იმპორტიორისა და ექსპორტიორის რისკს. ცხადია ხელშეკრულების ორივე მხარე რაღაც დოზით რისკის მატარებელია. კონკრეტულად რომლის რისკი რაში გამოიხატება მოკლედ ასე გამოიყურება:

ექსპორტიორისათვის დადებითად მიიჩნევენ: ა) ბანკიდან გადახდის ვალდებულების წარმოშობას; ბ) პარტნიორის (იმპორტიორის) გადახდისუნარიანობისა და კეთილსინდისიერების შემოწმებას; გ) ექსპორტის ხელშეწყობას; ხოლო უარყოფით მხარედ მიიჩნევენ: ა) შედარებით მაღალ საბანკო ხარჯებს; გადაუხდელობის მაღალ რისკს აკრედიტივით დადგენილი დოკუმენტების არასრულყოფილად წარდგენის დროს.[111]

იმპორტიორისათვის დადებითად მიიჩნევა: ა) უცხო ბაზარზე გამოყენების შესაძლებლობა; ბ) გადახდის გაიოლება; გადახდა მხოლოდ დოკუმენტების საფუძველზე, რითაც ხელშეკრულების პირობების შესრულება დასტურდება; ხოლო უარყოფით მხარედ მიიჩნევა: ა) რისკი იმისა, რომ საქონელი დოკუმენტში მითითებულ ხარისხს არ შეესაბამება; ბ) შედარებით მაღალი საბანკო ხარჯები.[112]

დოკუმენტურ აკრედიტივში რისკები პირობითად ოთხ ჯგუფად შეგვიძლია დავყოთ. ესენია: საზოგადო რისკები, აპლიკანტის რისკი, ბენეფიციარის რისკი და ბანკის რისკი.[113]

---

[110] Documentary Risk in Commodity Trade, UNCTAD/ITCD/COM/Misc. 31, p. 1. https://unctad.org/en/pages/PublicationArchive.aspx?publicationid=844

[111] გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2012, გვ. 219.

[112] იხ. იქვე.

[113] https://www.letterofcredit.biz/index.php/2018/01/17/risks-in-letters-of-credit/

6.3.1. საზოგადო რისკები

გენერალურ რისკს სახელმწიფოს მხრიდან გამოწვეული რისკები მიეკუთვნება. ეს რისკები ძირითადად პოლიტიკურ და საკანონმდებლო რისკებს უკავშირდება. სახელმწიფოს მხრიდან რეგულაციის ცვლილებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს დოკუმენუტი აკრედიტივით ანგარიშსწორებას. ყველაზე გავრცელებული პოლიტიკური რისკებია: ომი (როგორც სახელმწიფოთაშორისი, ისე სამოქალაქო), საზოგადოებრივი არეულობა, სახელმწიფო გადატრიალება და ზოგადად, ნებისმიერი პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობა, მათ შორის ტერორიზმი. ასევე, უცხოურ ვალუტაზე კონტროლის დაწესება და უცხოური ვალუტის გადარიცხვის შეზღუდვა.

6.3.2. თაღლითობის რისკი

თაღლითობა საკმაოდ ძველი და კარგად ნაცნობი ფენომენია ბიზნეს სამყაროში. იმ დღიდან რაც არსებობს კომერციული სისტემა გამუდმებით არის სხვადასხვა მანიპულაციების მცდელობა. თაღლითობა მიჩნეულია ერთ-ერთ ყველაზე საკამათო და დამაბნეველ სფეროდ.[114]

როგორც უკვე აღვნიშნე, ბანკი ტრანსაქციის გადაწყვეტილებას იღებს არა საქონლის, მომსახურების ან შესრულების საფუძველზე, არამედ ეყრდნობა მხოლოდ წარდგენილ დოკუმენტაციას. სწორედ ეს წარმოშობს თაღლითობის რისკს. ბენეფიციარმა შესაძლოა გაყალბებული დოკუმენტები წარუდგინოს ბანკს. დოკუმენტი შეიძლება იმდენად ოსტატურად იყოს გაყალბებული, რომ მიმღებ მხარეს ეჭვი არ შეეპაროს მის ნამდვილობაში. ამის შედეგად კი მყიდველი, რომელმაც თანხა გადაიხადა ვერ მიიღებს საქონელს ანდა პირიქით, გამყიდველი ვერ მიიღებს ანაზღაურებას იმის სანაცვლოდ, რაც გაყიდა.

კანონი, როგორც წესი, მხარს უჭერს დოკუმენტურ აკრედიტივს მანამ, სანამ თაღლითობა აშკარა და დამტკიცებული იქნება გონივრულ ეჭვს მიღმა.[115]

---

[114] Hamed Alavi, Exceptions to the principle of independence in documentary letters of credits, Thesis for the degree of Doctor, Universitat Autonoma de Barcelona, Spain, faculty of law, 2018, p. 61.
[115] Documentary Risk in Commodity Trade, UNCTAD/ITCD/COM/Misc. 31, p. 56. https://unctad.org/en/pages/PublicationArchive.aspx?publicationid=844

6.3.3. საკანონმდებლო და ფორსმაჟორული რისკები

საკანონმდებლო რისკი ძირითადად განვითარებადი ქვეყნებისთვის არის დამახასიათებელი. კანონმდებლობისა და რეგულაციების შეცვლა ხშირ შემთხვევაში უარყოფითად აისახება ბიზნეს სექტორზე. წინასწარი გათვლებით მხარეებს განსაზღვრული აქვთ თითოეული პუნტქი და მისი ცვლილება ხშირად არახელსაყრელ შედეგებს იწვევს. ცვლილებები შეიძლება მოიცავდეს საგადასახადო რეგულაციების გამკაცრებას, ექსპორტ / იმპორტზე აქციზის გადასახადის გაზრდას, საბაჟო მოსაკრებლის მომატებას. კანონმდებლობით ასევე შესაძლოა შეიზღუდოს უცხოური ვალუტის გადარიცხვა, დაწესდეს ლიმიტი. ყოველივე ეს კი უარყოფითად აისახება ბიზნესზე და იწვევს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების რისკს.

ხელშეკრულების მხარეები ხელშეკრულებით განსაზღვრავენ ფორსმაჟორულ შემთხვევებს. ცხადია, მისი წინასწარ თავიდან არიდება შეუძლებელია თუმცა, რეგიონიდან გამომდინარე ზოგიერთი ფორსმაჟორული შემთხვევის წინასწარ განჭვრეტა შესაძლებელია. ასეთ პირობებში დოკუმენტურ აკრედიტივზე შეთანხმება რისკის შემცველია. შესაძლოა ხელშეკრულების რომელიმე მხარემ მისი კუთვნილი სიკეთე ვერ მიიღოს.

ფორსმაჟორული რისკი თითქმის იდენტურია ორივე ხელშეკრულებისათვის თუმცა, დოკუმენტური აკრედიტივის შემთხვევაში საფრთხე მეტია.

6.4. დოკუმენტური აკრედიტივით სარგებლობის უპირატესობები

რისკების პარალელურად დოკუმენტური აკრედიტივით სარგებლობას აქვს თავისი უპირატესობები, კერძოდ: [116]

- გადახდისუნარიანობის დადასტურება;

- შესაბამისი დოკუმენტების მიღება. მყიდველს შეუძლია გამყიდველთან წინასწარ შეათანხმოს იმ საბუთების ჩამონათვალი, რომელიც თან უნდა ახლდეს მიღებულ საქონელს;

[116] ბიზნესის განვითარების ცენტრი, http://bbi.ge/uploads/training_24.pdf

- მეტი სამართლებრივი დაცვა. აკრედიტივი წარმოადგენს გარანტიას გამყიდველისათვის, რომ თანხები გადმოირიცხება მის სასარგებლოდ თუ ის შეასრულებს გარიგებით დაკისრებულ ყველა ვალდებულებას;

- სწრაფი ანაზღაურება. ექსპორტიორის მიერ თანხის მიღება ხდება მოკლე ვადაში პარტნიორი ბანკების საშუალებით;

- კონტროლი მიწოდების ვადებზე და დოკუმენტების მიწოდებაზე;

- მაღალრისკიან ქვეყნებთან ურთიერთობის დროს შესაძლებელია რისკის გაბათილება დამოწმებული აკრედიტივის მოთხოვნით, რაც გულისხმობს, რომ გარანტი ხდება მსოფლიოს ერთ-ერთი პირველი კატეგორიის ბანკი.

დასკვნა

საბანკო გარანტიისა და დოკუმენტური აკრედიტივის გამოყენება ბიზნეს შეთანხმებებსა და მოლაპარაკებებში მნიშვნელოვნად ამცირებს ვალდებულების შეურულებლობის რისკებს. მხარეები შედარებით მარტივად თანხმდებიან ხელშეკრულების დადებაზე, როდესაც ტრანზაქცია ხორციელდება საბანკო გარანტიის ან დოკუმენტური აკრედიტივის მხარდაჭერით. აღნიშნული ხელშეკრულებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და სასარგებლოა იმ კუთხით, რომ ეხება უძრავი ქონებისა და საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეკრულებებს და ზემოაღნიშნული საბანკო პროდუქტების წყალობით მინიმუმამდეა დაყვანილი ვალდებულების შეუსრულებლობის რისკი.

წინამდებარე ნაშრომში განხილულ იქნა ორივე ხელშეკრულების ძირითადი არსი, მონაწილეთა მოქმედების არეალი, ხელშეკრულების ნამდვილობის წინაპირობები, შესაძლო რისკების აღმოფხვრის გზები. კვლევის თანახმად დადგინდა, რომ ბანკი ძირფესვიანად ამოწმებს დოკუმენტებს კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით. მას შემდეგ, რაც ბანკი შეამოწმებს აპლიკანტის გადახდისუნარიანობას და აღმოჩნდება ვალიდური, თანხმდება ხელშეკრულების დადებაზე და უთითებს სავალუტო ლიმიტს. სწორედ ლიმიტის ფარგლებში თანხმდება ბანკი გაწიოს მომსახურება. აღნიშნული იცავს ბანკს დამატებითი რისკების წარმოშობისაგან.

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე რეკომენდირებულია შემდეგი ცვლილებების განხორციელება ან რეკომენდაციების გათვალისწინება:

- როგორც კვლევიდან ჩანს, დოკუმენტური აკრედიტივის საშუალებით ანგარიშსწორება საკმაოდ აქტუალურია ჩვენს ქვეყანაშიც. მისი გლობალურობიდან გამომდინარე მოთხოვნა კიდევ უფრო გაიზრდება, რაც თავის მხრივ, ითხოვს საკითხის სამართლებრივად ამომწურავ რეგულირებას. სსკ კი აღნიშნულ ხელშეკრულებას მხოლოდ ერთ, ზოგადი ხასიათის მუხლს უთმობს, რომელშიც მხოლოდ დეფინიციაა მოცემული. საჭიროა საკითხის გაშლა და დეტალიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ დაინტერესებულ მხარეებს შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ საერთაშორისო ნორმებს (იგ. UCP, URDG სხვადასხვა წესები), ვფიქრობ, აუცილებელია ძირითადი საკითხები სსკ-ით მოწესრიგდეს. კერძოდ, ძირითადი უფლება-მოვალეობანი, ანგარიშსწორების ეტაპები.

- რაც შეეხება ხელშეკრულების ფორმას, კანონით პირდაპირი მოთხოვნის არარსებობის მიუხედავად უპირატესობა უდავოდ წერილობით ფორმას უნდა მიენიჭოს. მასშტაბიდან გამომდინარე აუცილებელია თითოეული დეტალი მკაცრად განისაზღვროს მომავალში დავის წარმოშობის თავიდან ასაცილებლად, რაც მხოლოდ წერილობითი ფორმის შემთხვევაშია შესაძლებელი.

- კვლევის მიხედვით დადგინდა, რომ საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით ბენეფიციარი არაუფლებამოსილია ხარვეზის გაპარვის შემთხვევაში შესწორება შეიტანოს დოკუმენტაციაში, რაც ცხადია ართმევს მას მოთხოვნის უფლებას. (აღნიშნული უფლება დაცულია URDG N758 მე-11 მუხლით). ვფიქრობ, მოთხოვნის ვადის ამოწურვამდე უნდა მიეცეს მას ხარვეზის შესწორების უფლება, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის აღნიშნულ საბანკო პროდუქტს. მით უფრო, რომ სსსკ-ით დასაშვებია რიგ შემთხვევებში პროცესის განმავლობაში ცვლილების განხორციელება. შესაბამისად, ცვლილება არ შეეწინააღმდეგება კანონმდებლობას.

- ქართული კანონმდებლობისთვის უცხოა ბენეფიციარის მიერ თანხის ნაწილ-ნაწილ მოთხოვნა. ოპტიმალური იქნება კანონმდებლობაში ცვლილების შეტანა და ბენეფიციარისთვის აღნიშნული უფლების მინიჭება

(URDG N758 17-ის მსგავსად). ზოგიერ შემთხვევაში თანხის ნაწილი შესაძლოა ვალდებულების შესასრულებლად საკმარისიც აღმოჩნდეს.

- მნიშვნელოვანია ხელშეკრულების მიხედვით ამა თუ იმ ვალდებულების შესრულების ვადის განსაზღვრის საკითხიც. კერძოდ, სსკ-ის 886-ე მუხლი არ აზუსტებს რა ვადაში უნდა განიხილოს გარანტმა ბენეფიციარის წარდგენილი დოკუმენტები. მითითებული გონივრული ვადა შეფასებითია, რაც ამ მასშტაბის ხელშეკრულებისთვის არ არის რეკომენდირებული. საჭიროა ვადის დაზუსტება. მაგ. URDG N758 მე-20 მუხლის მიხედვით, აღნიშნული ვადა 5 დღეს შეადგენს. ბიზნეს ურთიერთობებში კონკრეტიზაცია განსაკუთრებულად აუცილებელია.

კვლევიდან გამომდინარე დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საბანკო გარანტიისა და დოკუმენტური აკრედიტივის სამართლებრივად სწორი რეგულირება აამაღლებს მათდამი ნდობის ხარისხს. შესაბამისად, გაიზრდება ხელშეკრულებების დადების რიცხვი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო დონეზე, რაც თავის მხრივ გამოიწვევს ეკონომიკის ზრდას. ეს უკანასკნელი კი ძლიერი სახელმწიფოს არსებობის პირდაპირ პროპორციულია.

ორივე ხელშეკრულება ერთი შეხედვით წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას თუმცა დეტალური განხილვის შედეგად დგინდება, რომ დოკუმენტური აკრედიტივი წარმოადგენს არა უზრუნველყოფის საშუალებას მისი კლასიკური გაგებით, არამედ არის თანხის გადახდის საშუალება. როგორც ნაშრომში აღინიშნა, დოკუმენტური აკრედიტივი უზრუნველყოფს შეთანხმებული ტრანზაქციის შემდგომ განვითარებას, ხოლო საბანკო გარანტია ამცირებს დანაკარგს ტრანზაქციის წარუმატებლობის შემთხვევაში. ამასთანავე, დადგინდა, რომ ბანკი ამოწმებს მხოლოდ დოკუმენტაციის სისწორეს და არა საქონლის ხარისხს.

ნაშრომში განხილულია თითოეული საბანკო პროდუქტის დადებითი და უარყოფითი მხარეები. მათი გაანალიზების საფუძველზე ხელშეკრულების მხარეებს შესაძლებლობა აქვთ სწორი მიდგომების პირობებში მინიმუმანდე დაიყვანონ რისკის ალბათობა ან საერთოდ აღმოფხვრან იგი. პრაქტიკის მიხედვით, ორივე ხელშეკრულების შემთხვევაში მთავარ რისკს თაღლითობა წარმოადგენს. ხშირია დოკუმენტების გაყალბების ფაქტები. საბანკო გარანტიის შემთხვევაში ხშირად გარანტორი არარსებული საფინანსო ორგანიზაციაა და შესაბამისად, ბენეფიციარის რისკი წინა პლანზე იწევს. თაღლითობის ფაქტები

არც დოკუმენტური აკრედიტივის ხელშეკრულებისთვის არის უცხო. პირიქით, პროცენტულად უფრო მეტი შემთხვევა, სწორედ ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ფიქსირდება. საკანონმდებლო და პოლიტიკური რისკი ასევე ამ ორი ხელშეკრულების უმნიშვნელოვანესი თანმდევია. ამიტომ სახელმწიფოს მხრიდან მაქსიმალურად უნდა შენარჩუნდეს პოლიტიკური სტაბილურობა.

კვლევის თანახმად დადგინდა, რომ საბანკო გარანტია დოკუმენტური აკრედიტივისგან განსხვავებით შედარებით იაფი პროდუქტია და მისი მეშვეობით მიზნის მიღწევა ნაკლებ დროსაც მოითხოვს. ამიტომ, იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების საგნიდან გამომდინარე მხარეებს შეუძლიათ ორივე ხელშეკრულების დადება, ვფიქრობ, არჩევანი საბანკო გარანტიაზე უნდა გაკეთდეს. ამ უკანასკნელის შემთხვევაში მხარეს ნაკლები ბიუროკრატიული პროცესის გავლა უწევს.

ბიბლიოგრაფია

სამეცნიერო ლიტერატურა

ათაბეგაშვილი დ., გარანტის პასუხისმგებლობის ფარგლები ICC-ის უნიფიცირებული წესების მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი #2(58), 2018

გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2012

გაბუნია დ., საბანკო გარანტიების სამართლებრივი რეგულირება საბაზრო ეკონომიკის პირობებში, „ალმანახი“, სამოქალაქო სამართალი #11, 1999

ზამბახიძე თ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი.

ზამბახიძე თ., დოკუმენტური აკრედიტივი - საერთაშორისო ანგარიშსწორების პრიორიტეტული ფორმა, ქართული სამართლის მიმოხილვა, 5/2002-1

ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 2003

ზოიძე ბ., ხეცურიანი ჯ., ახვლედიანი ზ., ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, გამომც. „სამართალი“, თბილისი, 1999

კოვზანაძე ი., კონტრიძე გ., თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა, გამომც. „სეზანი“, თბილისი, 2014

ლიპარტია ნ., საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნის მართვა და სამართლებრივი შედეგები, სადისერტაციო

ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი

ლიპარტია ნ., საბანკო გარანტიის სამართლებრივი ბუნების მიმოხილვა დამოუკიდებლობისა და "ზუსტი შესაბამისობის" პრინციპებთან მიმართებით, სამართლის ჟურნალი #2, თბილისი, 2017

ლიპარტია ნ., სახელმწიფო შესყიდვების ურთიერთობებში გამოყენებადი საბანკო გარანტიის სახეები, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი #4 (52), 2016

შენგელია რ., ნინიძე თ., ხეცურიანი ჯ., ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი მეორე, გამომც. „სამართალი", თბილისი, 2001

ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომც. „მერიდიანი", თბილისი, 2014

ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, გამომც. „სამართალი", თბილისი, 2013

ჭიპაშვილი ნ., საბანკო გარანტია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო უნიციფირებული წესების მიხედვით, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, 2015

ხოტენაშვილი პ., საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

იურიდიული ფაკულტეტი, 2015

Christopher Leon, Letters of Credit: a Primer, 1986

E. Von Caemmerer, Bank Suretyships and bank Guarantees in Foreign Trade

Gunther Sattelhak, German Banking Law and Practice in International Perspective, ed. By Horn, Norbert, 2011

Hamed Alavi Exceptions to the principle of independence in documentary letters of credits, Thesis for the degree of Doctor, Universitat Autonoma de Barcelona, Spain, faculty of law, 2018

Rodrigo T., UCP 500 To 600: A Forward Movement, eLaw Journal: Murdoch University Electronic Journal of Law 18(2), 2011, Griffit University, Queensland, Australia

Sinberg k., UCP 600 Transport Documents, 2ndEd edition, 2015

პუბლიკაციები

Bank Guarantees, SEB

Bank Guarantees, Credit Suisse, 10th revised edition, 2010

Bank Guarantees in Foreign Trade, UniCredit, Corporate and Investment Banking, Munich, 2017

Documentary Risk in Commodity Trade, UNCTAD/ITCD/COM/Misc.

სასამართლო აქტები

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე #2ბ/3772-14.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე #2ბ/4960-16.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე #2ბ/3689-13.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე #ას-782-739-2015.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე # ას-749-709-2015.

ნორმატიული წყაროები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, #31, 1997

საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, 2005

Uniform Rules for Demand Guarantees, International Chamber of Commerce Publication N 458

Uniform Rules for Demand Guarantees, International Chamber of Commerce Publication N 758

Uniform Rules for Contract Guarantees, International Chamber of Commerce Publication N325

Uniform Customs and Practice for Documentary Credits #500

Uniform Customs and Practice for Documentary Credits #600

ინტერნეტ რესურსი

http://press.tsu.ge

http://library.court.ge

http://matsne.gov.ge

http://tbappeal.court.ge

http://prg.supremecourt.ge

http://gccc.ge

http://iccwbo.org

http://unctad.org

http://investopedia.com

http://thebalance.com

http://letterofcredit.biz

http://bbi.ge

http://crfonline.org

http://efinancemanagement.com

http://nbg.gov.ge